

ბოქსი

საფეხბურთო ჟურნალი

№1
სექტემბერი
1992



ლავით ყიფილაშვილი
ავვისტოს საპეტეოსო
ფეხბურთელი



JUVENTUS



სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს

კაცობრიობას ფეხბურთი გაჩენისთანავე არ დაჰყოლია თან, მაგრამ არსებობის ბოლომდე რომ გააჰყვება, ეჭვს აღარ იწვევს! ფეხბურთის პოპულარობამ ყველაფერს გადააჭარბა და უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. სპორტის რიგითი სახეობის ჩარჩოებიდან გამოსული ეს საოცარი თამაში კარგა ხანია სოციალურ ფენომენად აღიარეს. მეტიც, ფეხბურთს, ასე განსჯეთ, პოლიტიკურ მოვლენებზეც არაერთხელ მოუხდენია უშუალო გავლენა! დიას, ფეხბურთის მაგიამ, შეიძლება ითქვას, მთელი დედამიწა მოაჯადოვა. გამონაკლისი არც საქართველოა და ახლა, როცა ხელთა გვაქვს პირველი ქართული საფეხბურთო ჟურნალი, გასაკვირად ის გერჩება, რომ აქამდე არ გვექონია ანალოგიური გამოცემა. ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს... მაშ ასე, თითქმის საუკუნოვანი მოლოდინის შემდეგ (ფეხბურთი ჩვენი გასული საუკუნის მიწურულს დაინერგა) შეხვედრა შედგა! ეს დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვენი ფეხბურთი ხომ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა! იმედია, უკვე საქართველოს 1991-92 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი მიხეილ ჯიშკარიანი (ფოტოზე) და მისი თაობა მოასწრებს ჩვენი ფეხბურთისთვის საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვებას!

ბოლი

საფეხბურთო ჟურნალი
№1 სექტემბერი '92

- 3--- „მომხდარს ფილოსოფიურად მივედგეთ“. ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან
ზურაბ ჟორცხვიანი
- 5--- თბილისიდან კაუნასში ქუთაისის გავლით. რეპორტაჟი ეროვნული ნაკრების საწვრთნელი შვედებიდან
ზურაბ მამკვილია, შია ახალაძე
- 8--- დიდი მადლობა ჩამოსვლისთვის ანუ სიურპრიზები დიტერვად. რეპორტაჟი ეროვნული ნაკრების პირველი ოფიციალური შეხვედრიდან
ზურაბ მამკვილია
- 13--- „ქე ეს ბრძოლა უფრო მაინტერესებს“. ინტერვიუ აფისტოს საუკეთესო ფეხბურთელთან
ილია ბაბუნაშვილი
- 17--- სინთორ ანიელი კარგად იყოს და... რუბრიკა „აღუბები“ წარმოგიდგინო ტურინის „იუვენტუსს“
ზურაბ ინასარიძე
- 25--- „გოლის“ რეიტინგი
- 26--- BARCELONA '92 ყველაფერი სტატისტიკის მოყვარულთათვის
- 30--- მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ვერობის ზონის კალენდარი
- 31--- რუბრიკა „ისტორიიდან“
ნოდარ გუგუშვილი
- 34--- რუბრიკა „სამხრეთ ამერიკა“
ბიძინა ბარათაშვილი
- 36--- რა ხდებოდა სექტემბერში
- 38--- სად წაიყვან სადაურსა. ყველაზე საინტერესო „ტრანსფერების“ სია

დაფუძნებლები
განსაზღვრული პასუხისმგებლობის
გამომცემლობა „ლინქსი“ და
კოოპერატივი „კომპიუტერი“

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქციის
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
გურამ თავდიშვილი
ზურაბ მამკვილია
გიორგი ქორქია
(პასუხისმგებელი მდივანი)
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)


კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

ტირაჟი 5.000

მისამართი: თბილისი, რუსთაველის
42. **ტელეფონი:** 93 16 08



მიხეილ ჯიშკარიანი (მთავარი ფოტოზე) და გორაკის ს. მ. IV ბუნებრივი



საქართველოში
ა. შ. შიშინაძე

«მოხდა რს ფილოსოფიურად მივუღებთ»

ინტერვიუ საქართველოს ფილოსოფიის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან

— თქვენი კომენტარი საქართველოს გუნდებისთვის ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

საქართველოში, სამწუხაროდ, არ არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უსაფრთხოების გარანტიას მისცემდა აქ ჩამოსულ პირებს. ეს კი ის აუცილებელი პირობაა, რასაც უფვა ყოველთვის ითხოვდა ჩვენგან და რის გარეშეც საქრთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე ფიქრიც ზედმეტია. ერთი სიტყვით, მოგეწონს ეს თუ არა, უფვა-ს გადაწყვეტილება ლოკაციურია.

მართალია, არსებობს მეტოქის ნეიტრალურ მინდობაზე მიღების პრაქტიკაც, მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ასეთი გამოსავალი ხელსაყრელი არაა. უფვა, ყველაფრის გარდა, კომერციული მხრითაც ძალიან დაინტერესებულია და სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებაზე

ფინანსური ფაქტორი ხშირად გადაწყვეტს გავლენას ახდენს. ნეიტრალურ მინდობებზე დასწრება, როგორც წესი, მინიმალურია.

შეიძლება არ გამოვიციცხოთ, რომ ჩვენთან დამოკიდებულებაში ერთგვარი დისკრიმინაციული მომენტიც არის, მაგრამ ეს არსებით როლს ვერ ითამაშებდა და ამ ვარაუდიდან გამომდინარე, უფვა-ს ლანძღვა შორს ვერ წაგვიყვანს. მეტად, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უდავოდ სოლიდური ორგანიზაცია ჩვენს მიმართ ყოველთვის ყურადღებასა და პატივისცემას იჩენდა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა თქვას, რომ უფვა-მ ამა წლის 25 ივნისს მიგვიღო დროებითი წვერის სტატუსი (ფიფა-ს წევრი კი 3 ივლისს გაუხდით), რაც უფვა-ს მხრიდან დებულების დარღვევა იყო. ეს კი იმიტომ გაუქვდა, რომ უფვა-მ ანგარიში გაუწია ჩვენს სამწლიან ბრძოლას გაწვევარბანებისთვის.

— უფვა-ს ამ გადაწყვეტილებამ ჩვენს საზოგადოებრიობაში სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. ერთი ნაწილი ღვარძლიან სიხარულსაც არ ფარავდა—

იცი, 1981 წელს თასების მფლობელთა თასი რომ მოვიპოვეთ ისიც კი უწყინა ვიღაც-ვიღაცებს და ახლა რა გასაკვირია. ეს საერთო სურათს ვერ შევცვლის და ის თითო-ორიოლა გულღვარძლიანი სათვალავში ჩასაგდებიც არ არის.

— რას იტყვით ამ ისტორიაში კოლოსკოვის როლზე?

— კოლოსკოვს ჩვენთვის ბევრი ცუდი გაუქვებია და, რომ იცოდეთ, პასუხიც მიუღია უშუალო შეხვედრებისას. მას ქართული ფეხბურთის წინაშე იმდენი ცოდვა აქვს, რომ რაიმეს დაბრალება ზედმეტია. ამჟერად იგი არაფერ შუაშია.

— ევროპის ტურნირებში ჩაბმის გადავადებამ თავის ნეგატიური გავლენა უძველად იქონა თქვენ როგორ აუხსენით ამ ზარალს?

წმინდა სპორტული თვალსაზრისით ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, უნდა გგვწევს. მაგრამ მომხდარს ელანოფიურად უნდა მივუდგეთ. გაკვეთილად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს! ყველას, ვისაც დიდი ფეხბურთი გვინდა, თაფლად გვმართებს წესრიგის დამყარებაზე ფიქრი. უნდა შევქმნათ უსაფრთხო მდგომარეობა მთელ ქვეყანაში, კორექტული ატმოსფერო სტადიონებზე საფეხბურთო მატჩების დროს, უზრუნველყოთ ნორმალური სამუშაო პირობები პრესის მუშაკათვის. ეს მართო ჩვენი, ფეხბურთელების საქმე არაა. ეს პრობლემა გაცილებით უფრო გლობალურია და კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს.

— გეთანხმებით, რომ ეს პრობლემა მართო ფედერაციის მეცადინეობით ვერ გადაიჭრება. მაგრამ თვით ფედერაციამ განა ამოწურა რეზერვები სტადიონებზე წესრიგის დამყარების საქმეში?

თქვენ ამას რომ მეკითხებით, თვითონ მშვენიერად იცი, რომ არა. ფედერაციას ყველა რეზერვი არ ამოუწურავს და განაგრძობს ამ საქითზე მუშაობას. მე შემიძლია ვთქვა, რომ საერთო მდგომარეობა წლებულს შარშანდღეზე უკეთესია.

— პრესის მუშაობის პირობები ახსენეთ. «კოლოს» პირველი ნომერი ძალიან რთულ პირობებში გამოდის.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა გითხროთ: თქვენი აზრით ამოწურულია ქურნალისტთა გავლენის შესაძლებლობები ფეხბურთის პოპულარიზაციისა და რეკლამირების საქმეში? მეთანხმებით არა. სამწუხაროდ ჩვენს ქურნალისტებს ხშირად დილატობთ მოვლენებიდან მთავრის, ყველაზე მნიშვნელოვანის გამოყოფის, სწორი აქცენტების განაწილების ალლო. ის, რომ თამაშის დროს ერთმა მეორეს ყურზე უკბინა, ანომალია და ამის განზოგადება არ შეიძლება. დღეს ყურადღებას ასეთ პათოლოგიურ ეპიზოდებზე კი არ

უნდა ვამახვილებდეთ, არამედ ლამაზ გოლებსა და კომბინაციებზე, ნიჭიერ ფეხბურთელებზე. ხალხს თქვენ უნდა გაუღვიძოთ ასე მიძინებული სიყვარული და ინტერესი ფეხბურთისა, ურომლისოდაც ქართველ კაცს სულ რამდენიმე წლის წინ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. თქვენმა წერილებმა უნდა დაუბრუნოს სტადიონებს ხალხის მასები. ნახეთ დასავლეთ-ევროპული ფეხბურთი, ამერიკული კალათბურთი, კანადური ჰოკეი— იქ პრესა რეკლამაა, რომლის ძალითაც ტრიბუნებზე ან შლაგია.

თქვენ პატივი უნდა სცეთ ჩვენს შრომას. ჩვენ კი — თქვენსას. არა მგონია ქურნალისტური პროფესიონალიზმის მცენება ყოველივე ნაწახისა და გაგონილის ქალაღზე გადატანას გულისხმობდეს. თუ ნათქვამმა კაცი კაცს ან ქალაქი ქალაქს გადაიკიდა, რა საჭიროა გამოქვეყნება? ცეცხლზე ნავთის დასხმა არ შეიძლება.

— გეთანხმებით, ზომიერების გრძობა აუცილებელია ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში კი ურნალისტებს ბევრის გაკეთება შეეძლოა. მინდა დავაკონკრეტო ჩემი შეკითხვა შეიძლება ვთქვათ იმდენი, რომ ფედერაცია დაგეგმარება სხვადასხვა ინფორმაციის მიღებაში?

ჩვენი ფედერაცია არაა გასაიღწმლოებული ორგანიზაცია. პირადად მეც და ფედერაციის ყველა სამსახურიც მზად ვართ მოგაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია.

— 2 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები უფვა-ს ცივდით პირველ საერთაშორისო მატჩს გამართავს კუნასში, ლიტვის ეროვნულ გუნდთან. ამ ისტორიულ მატჩზე ურნალისტთა დასწრებას ორგანიზაცია არ გაუკეთდა. იქნება არასასურველი პერსპექტივა იმისა, რომ მოკვადრაც ქალთა ოლიმპიური ტრიუმფის არ იყოს (რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი დიდი სპორტული გამარჯვება იყო და ამდენად განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის) ისტორიას არც ჩვენში უპოპულარესი სპორტის სახეობის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრის ფოტო თუ სხვა მასალა შემორჩება ქართული წყაროებდან.

— მესმის რისი თქმაც გინდათ. ჩვენ ვითვალისწინებდით ქურნალისტთა წამოსვლის აუცილებლობას და გვინდოდა ჩარტერული რეისით გავგზავნიერულიყავით ლიტვაში. ამ შემთხვევაში ქურნალისტთა წყევანაც მოხერხდებოდა და გულშემატკივართა ჯგუფის წამოსვლაც. სამწუხაროდ, საქართველოში ისედაც მძიმე მდგომარეობის გაართულებამ და დიდმა ხარჯებმა ხელი აგვადლებინა განზრახვაზე. ახლა იძულებული ვართ თვითმფრინავით მინსკში ჩავფრინდეთ და იქიდან ავტობუსით ჩავიდეთ თამაშის ადგილამდე. სულ 25-26 კაცი მიემგზავიერება, რაც ასეთი დღე-გაციისთვის მინიმუმია.

— რას იტყვით ჩვენი ნაკრების მისი მოშვადების დონის შესახებ?

— ნაკრები გუნდი ერთ კვირაში არ მზადდება, მას დრო სჭირდება, ეტაპები, თავისი სამოქმედო პროგ-



თბილისი სპორტული

1981 წლის 18 მაისი. დიუსელდორფი. თბილისის „დინამო“, რომელმაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში იგნის „კარლ ცაისი“ დამარცხა — 2:1 და ეს საპატიო ჩილდო დაისაკუთრა.

რამა. ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა გვექნება საერთაშორისო კალენდრის ოფიციალურად დამტკიცებული თარიღები. გარდა ამისა, ლიტვასთან შეხვედრაში არ იქნება უცხოეთში მოთამაშე ყველა უძლიერესი ქართველი ფეხბურთელი.

თამაში ტარდება მაშინ, როცა საქართველოში, ფაქტობრივად, საომარი მდგომარეობაა. ჩვენ შეგნებულად არ ვთქვით უარს აღნიშნულ მატჩზე. ლიტვაში გამგზავრებით გვინდა ყველას დაგვანახოთ, რომ ჩვენ მომავლის რწმენა არ გავგენლებია.

— მომავალთან დაკავშირებით, ნაკრების გეგმები როგორია?

— ჩვენ ყველა ასაკის ფეხბურთელთა ყველა შეჯიბრებაზე გამოვიყვანთ გუნდს. ეს დიდ ფულად სახსრებს მოითხოვს, მაგრამ საჭირო თანხები აუცილებლად უნდა გამოინახოს. რაც შეეხება პირველ ნაკრებს კალენდარს, შემოიღოა გითხრათ, რომ ლიტვის მერე ჩვენი გუნდი ხორვატიის ნაკრებს შეხვედრა (ახლა თანხმდება მატჩის ზუსტი თარიღი). გვაქვს წინადადებები რუმინეთისა და ბულგარეთის ფედერაციებისგან. საერთოდ, ამხანაგური მატჩების ჩატარების შესახებ მოლაპარაკების მიღწევა იმითაც რთულდება, რომ თითქმის ყველა ფედერაცია ორი-სამი წლით ადრე გვემაგს შეხვედრათა გრაფიკს. გარდა ამისა თითოეული გუნდის მოწვევა ჩვენ სულ ცოტა 50000 დოლარი მაინც გვიჯდება. ზოგიერთი ნაკრების მასპინძლობა კი შეიძლება 100000 დოლარიც დაგვიჯდეს. თუ ვინმე გაიღებს ასეთ თანხებს პრობლემაც ბევრად გაიოლდება.

საინტერესო შეთანხმება გვაქვს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციასთან. ხელშეკრულება, რომელიც

აღბათ ნოემბერში გაფორმდება, ითვალისწინებს საქართველოში სპორტული ბაზების მშენებლობაში გერმანული მხარის მონაწილეობას, გუნდების ურთიერთგაცვლას ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად, კიოლნის მწვრთნელთა სკოლაში ჩვენი მსმენელების მიღებას, სპორტული ფორმითა და ატრიბუტიკით დახმარებას და სხვა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ — პატრონაქს.

— სხვა ხელსაყრელი კონტრაქტები თუ მზადდება?

— ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სპორტული ეკიპირების მწარმოებელ ფირმებთან „უმბრო“ და „პატრიკ“. ერთ-ერთი უზრუნველყოფს ჩვენს გუნდებს სათამაშო ფორმით.

— ახლო მომავალში რაიმე სტრუქტურული ცვლილებები ხომ არაა მოსალოდნელი ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში? ვგულისხმობ ჩემპიონატის ჩატარების სისტემის, კალენდრის ციკლიზაციის უმაღლეს ჯგუფში გუნდების რაოდენობის შეცვლას ან სხვა სახეს.

— ეროვნული ჩემპიონატის სისტემა შემოდგომა-გაზაფხული, ვფიქრობ, ოპტიმალურია და მის შეცვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უახლოეს მომავალში კალენდრის ციკლიზაცია უცვლელი დარჩება. არც ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის შემცირება მიმართა მიზანშეწონილად. რთულ საყოფაცხოვრებო პირობებში კლუბები ვერ უზრუნველყოფენ ფეხბურთელთა მაღალკალორიულ კვებას, ვერ ხერხდება ხანგრძლივი შეკრებების ჩატარება, რის გამოც იკლო ვარჯიშების მოცულობამ და ინტენსიურობამ. ამის კომპენსაციას სწორედ კალენდარული მატჩები ახდენს. უმნიშვნელო არც ის არის, რომ თითო გუნდში 25-30 კაცია დაკავებული და ბევრი

ახალგაზრდა ლოთობის, ნარკომანიისა და ყაჩაღობის ნაცვლად საქმით არის დატვირთული. სწორედ ფეხბურთმა ააფრიალა პირველად ქართული დროშა სოხუმში, სადაც საბჭოური რეჟიმი ყველაზე დიდხანს შემორჩა.

საერთოდ, ჩვენში სათანადოდ ჯერ კიდევ არ ფასდება ფეხბურთის სო-

ციალური მნიშვნელობა. საფეხბურთო მატჩი დიდ აუდიტორიას იკრებს და ამას, ვთქვათ, უცხოეთში, ხშირად გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწეებიც იყენებენ ამომრჩევლებში თავიანთი პოპულარობის განსამტკიცებლად ან ახალ მომხრეთა შესაძენად.


ესაუბრა ზურაბ ფოცხვერიძე
26 აგვისტო.

1981 წლის 18 მაისი. დიუსელდორფი.




თბილისი სპორტული

თბილისიდან კაუნასში ქუთაისის გავლით



ზურაბ მემკვიდრისა და
გია ახალაძის (ფოტო)
რეპორტაჟი



პარბი იქნება, თუ 2 სექტემბერს კაუნასში წვიმა მოვა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწვიმარი იქნება. ხუმრობა იქით იყოს და მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა ქუთაისში შეკრება დაიწყო, დღე ისე არ გასულა, წვიმა არ მოსულიყო... მხოლოდ 14 ფეხბურთელი გამოცხადდა ნაკრების მწვრთნელთა განკარგულებაში: გუჯაბიძემ ჩემპიონატის პირველივე მატჩში ტვინის შერყევა მიიღო, ჩუხუას ბრმა ნაწლავის შეტევა ჰქონდა, ხოლო შოთა არგელაძემ მუხლის მცირე ტრავმის გამო ქუთაისში მყოფი უფროსი ძმა ელუდ „მიატოვა“. ამ სამს კიდევ სამი დაემატა — მართალია, სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ მათ გამოუცხადებლობას ყველა გაგებით შეხვდა: „ცხუმის“ ფეხბურთელებს — მიშა ჯიმკარიანს,

ბიგვას და გაბისკირიას იმ დღეებში არ ეფეხბურთებოდათ. აღარაფერს ელოდა შეკრებაზე მურთაზ შელიას, რომელიც სამართალი მოქმედებების არეში — მშობლიურ ოჩამჩირეში იმყოფებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ კიდევ არ ვიცნობთ სრულად ამ კაცს. მურთაზმა 30 (ოცდაათი) კილომეტრი გაიარა ფეხით, სანამ პირველ ბორბლიან საგანს გადაეყრებოდა და ასე ავტოსტაბით ჩამოვიდა ქუთაისში. აქვე ვიტყვი, რომ არც თბილისიდან საკუთარი მანქანით წამოსულიყვილაშვილს და დევაძეს ეწვრათ უხიფათოდ ჩამოსვლა შეკრებაზე — ქუთაისის შემოსასვლელთან მანქანა ავტომატებით შეიარაღებულმა „ვილაცებმა“ გააჩერეს და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოაღწია შავმა

„ნოლცბრამ“ ქუთაისის „ტორპედოს“ მშვენიერ ბაზას, რომელიც სალორიაში მდებარეობს... აქ ძირითად თემას გადავუხვევ და მკითხველებს, რომლებსთვისაც ქუთაისის კლუბის სახელწოდების შეცვლამ (უფრო სწორედ, დაბრუნებამ) ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე ჩაიარა, ვაცნობებ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო კლუბის დამფუძნებელთა საბჭომ 17 აგვისტოს. „ტორპედო“ — ნაკრების თამაშზე მოსული მკურნებელი ოვაციებით შეხვდა

ამ ინფორმაციას... 16 აგვისტოს, შეკრების პირველ დღეს ჩვეულებრივი ვარჯიში ჩატარდა, მეორე დღეს კი ერთსაათიან ვარჯიშს წყალტუბოს „სამგურალთან“ მატჩი დაემატა. მართალია, ეს შეხვედრა თავდაპირველად არ იყო დაგეგმილი, მაგრამ მწვრთნელებმა კანდიდატების საქმეში ნახვა მოისურვეს. წყალტუბოელებმა თავგამოდებით ითამაშეს და ერთი ხანობა ანგარიში საყაიმოც იყო — 2:2. თუმცა ბოლოს ყველაფერი ლოგიკურად

დამთავრდა — ნაკრებმა მოიგო 4:2. გოლები გაიტანეს ყიზილაშვილმა, არველაძემ, ნემსაძემ, ნეფარიძემ. წყალტუბოელმა გულშემმატიკორებმა ჩვენი ეროვნული გუნდი ასეთი შემაღგენლობით იხილეს: **დევაძე, ჩიქოვანი, კუდინოვი, არზიანი, ცომაია (შელია, 46), ნემსაძე, რეზო არველაძე, ჭიშკარიანი, ნეფარიძე, ჯანაშია, ყიზილაშვილი.**

მხოლოდ პირველ 15 წუთში ითამაშა გუნდმა გეგმის მიხედვით — გვითხრა გიგა ნორაკიძემ. მართლაც, ამ მატჩმა და ყოველდღიურმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ ტაქტიკის შემუშავებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და მეორე დილიდან მწვრთნელებმა ვარჯიშებს სულ სხვა ხასიათი მისცეს — უფრო ადრეგენითი და ემოციური. ფეხბურთელთა მონაცემებიც ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება. წნევა, პულსაცია, წონა — ყოველ დღით ივსება ეს სამი გრაფა. ბატონი გიგას თქმით, მხოლოდ დიმა კუდინოვისა და რეზო არველაძის მონაცემებია ოპტიმალური. ამიტომ საჭიროა უფრო ახლო კონტაქტი კლუბების მწვრთნელებთან — დაამატა ნაკრების მეორე მწვრთნელმა, ნიკა ამირეჯიბმა. ორივე მწვრთნელი კმაყოფილია დევაძის თამაშით. ასეთ ნახტომს არ ველოდი — ამბობს ბატონი გიგა. ნეტავ ყველა ადგილზე ასეთი კონკურენცია გვექონდეს — ნატრულობს ამირეჯიბი.

გიგა ნორაკიძისთან ბევრჯერ მისაუბრია და ვიცი, როგორი ფეხბურთის მომხრეა ეს კაცი. მასლოვი და მიხელსი — ეს ორი გვარი ხშირად ფიგურირებს მის ლაპარაკში. მისი ქუთაისის ტორპედოც ბევრს ახსოვს. მთავარია ჩქარი შეტევა და ცვაში ჩქარი დაბრუნებით — იმეორებს იგი და განაგრძობს: აშკარად გასაუფჯობესებელია ორთაბრძოლა. მე მესმის, რომ აქ მოწვეული ყველა ფეხბურთელი თავის კლუბში ლიდერია, ისიც მესმის, რომ ჩვენს ჩემპიონატში ჯერჯერობით შეიძლება მკაცრი

ორთაბრძოლების გარეშე მოიგო, მაგრამ ეს ფუფუნება თავს იჩენს საერთაშორისო მატჩებში. თანამედროვე ფეხბურთში ამ კომპონენტის გარეშე თამაში უაზრობაა. — აბსოლუტურად ვეთანხმები ეროვნული ნაკრების სტრატეგს.

... 20 აგვისტოს ადგილობრივ ტორპედოსთან შეხვედრით დამთავრდა ნაკრების ქუთაისური შეკრება. ეს მატჩი შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს: ორივე გუნდის მწვრთნელი გიგა ნორაკიძე გახლავთ. „ქუთაისელმა“ ნორაკიძემ „ნაკრების“ ნორაკიძეს ჯანაშია და დარასელია დასტყუა — ასე უფრო საინტერესო იქნებოდა. სტატიის დასაწყისში წვიმა ვახსენე, და აი ბოლო დღეს ისეთი პაპანაქება იყო, გეგონებოდათ, აქ წვიმა რა არის, არც იცნანო. ნაკრები ასეთი შემაღგენლობით თამაშობდა: **ჩხეიძე, არზიანი, კუდინოვი, შელია, ჭიშკარიანი, ცომაია, ნემსაძე, ჩიქოვანი, არველაძე, ყიზილაშვილი, ნეფარიძე (ქინქლაძე, 46).** დაწვრილებით ამ მატჩზე აღარ შეეჩერდები, მისი აკვარგიანობა ნაკრების ხელმძღვანელობისთვისაც ცნობილი. გოლები კი ასე გავიდა: 87-ე წუთზე მასპინძელთაგან იონანიძემ გაიტანა, თუმცა აშკარა თამაშგარედან, 88-ე და 89-ე წუთებზე კი ყიზილაშვილმა ჯერ ფეხით, მერე კი თავით გადაარჩინა ეროვნული გუნდის რეპუტაცია. ასეც უნდა მომ-

ხდარიყო — მითხრა მატჩის შემდეგ ტორპედოელთაგან საუკეთესო მოთამაშემ, მარგვეთიდან წლუღის გადმოსულმა გურიელიძემ.

... არაფერია სადავო იმაში, რომ ჩვენი ყურნალისტები


გუნდთან ერთად ვიყავით ტორპედოს მშვენიერ ბაზილიკურ ბევერი რამის გაგება და ნახვა მოვასწარი. ყველაფერს ეს რეპორტაჟი ვერ დაიტევს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, რომ ყიზილაშვილი ისევე კარგად ხმა-



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიგა ნორაკიძე

მუშაობის პირობებით უცხოელ კოლეგებთან შედარებით ქვის ხანაში ვიმყოფებით. ამ კონკრეტულ სიტუაციაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და ნაკრების ხელმძღვანელობამ ისეთი შანსი მოგვცა, სხვა ქვეყნის ყურნალისტები მხოლოდ სიზმარში რომ ხედავენ — მთელი შეკრება

რობს ნარდის კამათელს, როგორც ფეხს მოედანზე; რომ არველაძე, ცომაია, ჭიშკარიანი და დარასელია ფეხბურთზე არანაკლებ დომინოს „ურახუნებენ“; რომ ჩიქოვანი ტელევიზიით გადმოცემულ არც ერთ საინფორმაციო გამოშვებას არ აღედნს და რომ ყველასთვის იმ დღეებში ერთი რამ იყო



რეზო არველაძე ურველდღე რეკავდა თბილისში

ლიტვაში ნაკრები ასეთი შევადგანოოთი გავზზავრა:

აკაკი დევაძე	მეკარე	შევარდენი-06	14.04.1972
დავით ჯანლიძე	მეკარე	მრეტები	9.02.1973
დიმიტრი კუდინოვი	მცველი	დინამო	8.02.1963
გოჩა ჩიქოვანი	მცველი	დინამო	12.10.1962
კახაბერ სიღამონიძე	მცველი	მრეტები	17.04.1971
გია ჯიშკარიანი	ნახევარმცველი	შევარდენი-06	30.11.1967
დავით ცომაია	ნახევარმცველი	ალაზანი	4.09.1967
კახაბერ გოგინაიშვილი	ნახევარმცველი	შევარდენი-06	31.10.1968
გიორგი ნემსაძე	ნახევარმცველი	შევარდენი-06	10.05.1972
გიორგი დარასელია	ნახევარმცველი	ტორპედო	17.09.1968
რეზო არველაძე	ნახევარმცველი	დინამო	15.09.1969
როსტომ თორღაშვილი	ნახევარმცველი	ბათუმი	15.12.1964
გიორგი ქინქლაძე	თავდამსხმელი	მრეტები	6.07.1973
დავით ჯანაშია	თავდამსხმელი	ტორპედო	7.08.1972
შოთა არველაძე	თავდამსხმელი	დინამო	22.02.1973
დავით ფიზილაშვილი	თავდამსხმელი	შევარდენი-06	20.01.1971

მთავარი მწვრთნელი — გიგა ნორაკიძე

ორმოცდვიდან ურნალში თუ არ მოვხვდი, სულ წავალ ფეხბურთიდანო — გვითხრა გიორგი დარასელიამ. აწი აღარ წავა!

მნიშვნელოვანი — რა ხდებოდა აფხაზეთში. ბოლოს კი ყველა ერთად შეიკრიბებოდა და დაიწყებოდა: ჩვენებმა სოხუმში აიღეს, მარიანამ შვილი იპოვა (ფილმი იმაზე, თუ როგორ ტირიან მდიდრები, დღის რეჟიმშიც კი იყო შეტანილი), მაყეიკისი „ანცში“ გადმოსულა, გურული საფრანგეთში გადასულა და ისევ და ისევ აფხაზეთი.

ძილი კი ყველას ერთნაირი ჰქონია — დილის ვარჯიშზე არაეინ აგვიანებდა.

ქუთაისი, 16-20 აგვისტო P.S. ვუერთდებით ნაკრების ხელმძღვანელობას და უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას, რომელმაც თავისი ხარჯებით შეძლო ამ შეკრების ჩატარება.

ქუთაისის „ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზა



ნემსაძე-დარასელიას ორთაბრძოლა. წამიც და ნემსაძეს ეჭმი დასპირდება



დიდი გადღობა ჩამოსვლისთვის



ანუ სიურპრიზები ლიტვურად

რა დასაშვალა და 15 ივლისს, როდესაც უფასო იურიდიული კომისიის მიერ გამოტანილი განაჩენი — ჩვენი კლუბების ევროთასებზე არ დაშვება — შევიტყვე, სხვების მსგავსად ემოციებს ავყვე და არაერთი „ლაშაზი“ სიტყვით მოვისხენიე ეს ორგანიზაცია. თუმცა, საღაც გულის სიღრმეში ვგრძობდი, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი იყო. შეგახსენებთ მიღებული გადაწყვეტილების მეორე ნაწილსაც — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის კლუბები მხოლოდ ჩემპიონთა თასზე გამოვლენო. ძირითადი გითხრათ, ვერ გავიგე, თუ რა ინფრასტრუქტურა არ უვარგოდა ამ ქვეყნებს, მაგრამ ახლა, ლიტვიდან დაბრუნების შემდეგ, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ უფასო კარგახანია არ მიუღია ასეთი ბრძნული გადაწყვეტილება, თუმცა ამაზე ქვემოთ.


საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 2 სექტემბერი. კაუნასი. 4500 მაყურებელი ლიტვა — საძარტველი 1:0	
1. გინტარას სტაუჩე	5. რიშას შაუეიკისი
3. რაიმონდას ვაინორასი	8. აუდრუს ჟუტა
4. ვირგილიუს ბალტუშნიკასი	9. ანდრიუს ტერეშკინასი
2. რემიგიუს საკალასი	10. ვაიდოტას შლეკისი
6. ვალდას ურბონასი	11. შოთა არველაძე
7. რიჩარდას ზდანუსი	10. დავით ყიზილაშვილი
11. რემიგიუს პოცუსი	7. გიორგი დარასელია
11. შოთა არველაძე	6. დავით ცომაია
9. რეზო არველაძე	2. კახა გოგიჩაიშვილი
5. გია ჯიშკარიანი	4. დიმიტრი კუდინოვი
8. გორა ჩიქოვანი	3. კახა სიღამონიძე
1. აკაკი დევაძე	
შეცვლები: 38' ურბონასი — ვიქტოროს ოლშანსკისი 46' ვაინორასი — არუნას მიკა 56' რ.არველაძე — გიორგი ნემსაძე 60' შლეკისი — რემიგიუს პოცუსი 63' შარველაძე — დავით ჯანაშია 73' ჟუტა — ორმანდას სტუმბრისი	
გოლი: მიკა 90'	
გაფრთხილება: ჯიშკარიანი 90'	
მსაჯები: ლიხალაი, დირექტორენკო, ასუპე (ლატვია)	

შარშან, მოლდოვასთან მატჩზე საქართველოდან 12 ჟურნალისტი ვახლდით გუნდს. ამჯერად, თავად ნაკრები ძლივს ჩაეტია ამ გაჭირვების დროს რის ვაი-ვაგლახით გამოძებნილ იტპ-40-ში და ჩვენი წასვლა აღარ მოხერხდა. მაგრამ თავს ვერ ვაპატიებდი, ჩვენი ქვეყნის ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩი რომ გამომეტოვებინა. ჟურნალის დამფუძნებლებმაც გამონახეს საჭირო (არც თუ ისე მცირე) თანხა და... დაიწყო მოგზაურობა, რომელსაც სასიამოვნოს ვერაფრით ვუწოდებ. მკითხველს თავიდანვე ბოდიშს მოვუხსნი იმის გამო, რომ დაწვრილებით მოვუთხრობ პირადად ჩემს პრობლემებზე, მაგრამ ვთვლი, რომ მათთვისაც საინტერესოა, თუ რა პირობებში გვიხდება მუშაობა.

... ნაკრები სამშაბათ დილით უნდა ჩასულიყო მინსკში, ამიტომაც უკვე შაბათს მომიწია

ბელარუსში გაფრენა, უფრო სწორედ უნდა გაფრენილიყავი. საღამოს აეროპორტში გამოგვიცხადეს: კვირას 15 საათამდე მინსკში ჩიტიც ვერ გაფრინდება. აეროფლოტის ოინებს მიჩვეული ვარ და...

• მართალიც აღმოვჩნდი — როცა ყველა ქალაქში დაბრუნდა, ასე დილის 5 საათი იქნებოდა, გამოაცხადეს — მინსკში ვის გინდათ წასვლაო. ასეთი კომფორტით არასდროს მიმგზავრია — ნახევარი თვითმფრინავი ცარიელი აღმოჩნდა. 2 საათით ადღურში შეჭერდით და ბოლოს მინსკაც ვესტუმრეთ. აქ მორიგი სიურპრიზი მელიდა — პასპორტში მეორე სურათი არ მქონდა და თავი მილიციის რაიგანყოფილებაში ამოვყავი... თუმცა ფული მარტო ჯოჯოხეთს როდი ანათებს. „ხის“ მანეთები ჯერ კიდევ საკმაო პოპულარობით სარგებლობს როგორც მინსკელ მილიციელებში, ასევე სასტუმროს ადმინისტრატორებში. ასეა თუ ისე, სამშაბათს, 10 საათზე აეროპორტ „მინსკ 2“-ში ვიყავი. იქვე მოვიდა ლიტველთა ავტობუსი, რომელსაც ნაკრები კაუნასში უნდა ჩაეყვანა. ყოველათ წუთში ვკითხულობდით ჩვენების ამბავს. ექვსის ათი წუთი იყო, როცა „ოპერატიული“ ინფორმაცია მოგვაწოდეს — 40 წუთის წინ თქვენების თვითმფრინავი „მინსკ 1“-ში დაფრინდაო. პატარა ცნობა: ორ აეროპორტს შორის მანძილი 44 კილომეტრია. ერთ საათში ადვილზეც მივდივით და 12 საათიანი მოგზაურობით დაქანცული ჩვენი ნაკრების ბიჭებიც ვნახეთ. იქნებ ცოტა მაინც გვეჭამაო — ნატრულობდნენ, მაგრამ გადაწყვიტეთ: აეროპორტის ბუტერბროდებს სჯობია კაუნასამდე მოვითმინოთ და იქ გვაჭმევენ ნორმალურადო. რა ვიცოდით იქაური დახვედრა, თორემ „მინსკი 1“-ის ბუფეტებს წლოურ გემას შევესრულებდით. კაუნასში, წესით და რიგით, ოთხ საათში უნდა ჩავსულიყავით, მაგრამ ავტობუსს საბურავი გაუსკდა, სათადარიგო არ აღ-



დევამე ხელის მცირე ტრავმით თამაშობდა

მოჩნდა და თითქმის ხოხვით ღამის 12 საათზე ჩავდივით მატჩის ადგილზე. გზაში ყველა ცდილობდა საჭმელზე არ ელაპარაკა. შოთა არველაძე ახალ-ახალ საკმათო თემას „შემაგდებდა“ ხოლმე — მარადონა სჯობია თუ პელე, არგენტინა თუ ბრაზილია და იწყებოდა ერთი ვაი-უშველებელი. ასე მხიარულად ჩავდივით და... ჩვენი ინფორმაციით ჯერ მინსკში არ ჩამოფრენილხართო — გვითხრეს მასპინძლებმა. ეს იმას ნიშნავდა, ვახშამი არ არისო. ალბათ იოლად გავსვლას აპირებდნენ, მაგრამ ჩვენი ბიჭების სახეებმა მაინც აიძულეს უახლოეს კავშირში ცივი ჩაი და თბილი პეპსი მოეძებნათ, თითო ფუნთუშაც და ხორცის თითო ნაჭერიც გვარგუნეს. მალე ადგილობრივი სპორტბაზის „აბარტამენტში“ შეგვასახლეს (ბა სასტუმროზე ხომ არ დაიხარჯებოდნენ), რომელიც ოთხ ადგილიანი ნომრებითა და ცხელი წყლის უქონლობით გამოირჩეოდა. ბიჭები ისე იყვნენ დაღლილები, ტელევიზორით მადრიდის რეალისა და აიაქსის თამაშის ყურებაც კი ვერ შეძლეს (სანტიაგო ბერნაბეუს თასის ფინალი ჰოლანდიელებმა მოიგეს — 3:1).


... ქუთაისის შეკრების შემდეგ ჩვენს ნაკრებს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ლიტვაში ვერ წამოვიდა დღესღობით, ჩემი აზრით, უძლი-

ერესი ცენტრალური მცველი მურთაზ შელია, რომელმაც ტრავმა მიიღო. დამტვრა არზიანიც, ცხუმის ფეხბურთელები კი ნაკრების ხელმძღვანელობამ შეგნებულად არ მოიწვია — ძნელია ოჯახის მიტოვება სოხუმში. არც უცხოეთში მყოფი ფეხბურთელები მოუწვევიათ: ჯერ ერთი, აქაურ რეზერვებს ამოწმებდნენ, მეორეც — მათ ჩამოსაყვანად საჭირო ვალუტა საშოვნელი. კაუნასში წამოსვლამდე ნაკრებმა კიდევ ორი დღე გაატარა შეკრებაზე — დღემის საწვრთნელ ბაზაზე. ამავე დღეებში თბილისში იმყოფებოდა კახი ცხადაძე, რომელიც მოსკოვის დინამოში თამაშობს. იგი შეპირდა კიდევ ნაკრების მწვრთნელებს — „გამოვჩნდებიო“, მაგრამ მას მთელი დღე ამოდ ელოდნენ.

დაახლოებით ასეთივე პრობლემები გააჩნდა ლიტვის გუნ-

დაც, რომელიც 23 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანიას მასპინძლობს. ტრავმა მქონდა ბარანაუსკას, ფრიდრიკასი ორი გაფრთხილების გამო არ ითამაშებს დანიასთან და ამიტომ არც ამ თამაშზე ყოფილა. ჩვენს მსგავსად, არც უცხოეთიდან მოუწვევიათ „ლეგიონერები“. როგორც ერთი დღის დაკვირვების შედეგად მივხვდი, ლიტვის ფეხბურთის ფედერაციაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. მომძლავრდა ფედერაციის პრეზიდენტისა და ნაკრების მწვრთნელის მიმართ ოპოზიცია. ზუსტად თამაშის დღეს გაიძარათა ფედერაციის პლენუმი. ალბათ ამიტომ, ჩვენთვის არავის ეცალა.

თამაშის დღეს გიგა ნორაკიძემ 40 წუთიანი ვარჯიში ჩაატარა მოედნის გასაცნობად. საუზმის შემდეგ დადგინდა შემადგენლობა მატჩზე. სანტერესია, რომ იმ დღეს მთელ ლიტვაში აკოვდა, კაუნასში კი მთელი დღე თავსხმა წვიმა მოდიოდა. სადილამდე მე და გუნდის ექიმი დიმა ზაალიშვილი ორიოდე საათით ქალაქის ცენტრს ვესტუმრეთ. მინდოდა დავრწმუნებულიყავი: მართლა ისეთი ასორტიმენტია საკვებისა, როგორც ჩვენს მაგიდაზე თუ არა. ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა — კაუნასის მაღაზიები გადაჭედულია პროდუქტებით. დიმა იქაური აფთიაქები შემოირბინა, ბიჭებისთვის წამ-



ბელარუსი — ლიტვის საზღვარზე



კარგი საქმელი რომ ყოფილიყო, ასეთი დაღონებულებები არ იქნებოდნენ ბიჭები

ლები სჭირდებოდა. არ შეიძლოა არ გავიხსენო, რომ ქალაქის ცენტრში ლიტვურ ნომრებიანი „ფერარიც“ კი შეგვხვდა.

... სადილზე მასპინძლებმა (თუ შეიძლება მათ ასე ეწოდოს) კიდევ ერთხელ გავაოცეს. ჩვენი მაგიდის გვერდით... ქელები მიმდინარეობდა. იმ მწირ საკვებს, რომელიც ჩვენთვის გაიმეტეს, სამგლოვიარო სიმღერების თანხლებით გეახელით. ყველაფერს აკეთებენ, რათა მოგვიგონ — ამბობს გუნდის კაპიტანი ვიაჯიშკარიანი... ვერ ეღირობებიან — ეს სიტყვები დიმა კუდინოვს ეკუთვნის.

ისე არ გამიგოთ, თითქოს კაუნასში წაგებას მარტო მასპინძელთა საქციელს ვაბრალებდე, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენი თავი ფეხბურთელთა ადგილზე: 17 საათი გზაში, ასეთი დახვედრა და მიხედვით, ამანაც განაპირობა ის, რომ საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი

ოფიციალური მატჩი წარუმატებლად დაამთავრა. თანაც ასეთი ყურადღება მასპინძელთა საქციელზე იმიტომ გავამახვილე, რომ ჩემთვის, და ალბათ არა მარტო ჩემთვის, ძნელი საფიქრალია ასეთი ქმედება. ამას ხომ უნდა მოფიქრება, როცა ორი ავტობუსი გყავს — ერთი კარგი, მეორე — ცუდი და ამ უკანასკნელს სტუმარს დაუთმობ. საერთოდ, „პაზიკის“ ტიპის ავტობუსი თუ კიდევ არსებობდა „შუაგულ ვერობაში“, ნამდვილად აღარ მეგონა.

ამგვარად გადაგვიხადეს მადლობა ლიტველებმა იმისთვის, რაც მათთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და ცალკეულმა კლუბებმა (მაგალითად, ოზურგეთის „მერცხალმა“) გააკეთეს 1990 წელს ლიტვის ნაკრების ჩვენს ქვეყანაში ტურნეს დროს. ერთადერთი ორგანიზაცია, რომლის მიმართაც აუცილებელი არ გვეთქმის, ლიტვის საბაჟო იყო, რომელმაც ბელარუს —

ლიტვის საზღვარზე, ორივე შემთხვევაში ყოველგვარი ფორმალობისა და რიგის გარეშე გავგატარა.

1940 წლის შემდეგ არ უთამაშია ლიტვის ნაკრებს კაუნასში. ვილნიუსის სტადიონი დანიასთან მატჩისთვის ემზადებოდა და ამიტომაც „საკალათბურთო“ ქალაქი შევა ისტორიაში, როგორც ჩვენი ნაკრების პირველი მატჩის ადგილი. უშუალოდ მატჩის ორგანიზაცია სათანადო დონეზე იყო. შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შედგა ლიტვის შინაგანი ჯარების აღლუმი. მაყურებლებს (მათ შორის ჩვენი თანამემამულეებიც იყვნენ) დაწვრილებით გააცნეს საქარ-

თითქოს განმეორდა ეს მემენტი — გიორგიმ ისევ ააცილა კარს. გოლის გატანა შეეძლოთ ყიზილაშვილს (იგი სტაუჩესთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს), გოგიჩაიშვილს, რეზო არველაძეს — ყველა შემთხვევაში მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე სტაუჩემ იმარჯვა. 44-ე წუთზე კი უკვე ლატვიელმა მსაჯმა „იმარჯვა“ — ვერ დაინახა, თუ როგორ მოცულეს მეკარესთან პირისპირ გასული რეზო არველაძე.

შეცვლაზე შემოსულმა მიკამ მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე დაამატა დევიძის მოგერიებულ ბურთს და დაემარცხდით მატჩში, რომლის ფრედ დამთავრებაც კი ჩვენში



ვარჯიში თამაშის დღეს

თველოს ნაკრების შემადგენლობა ლიტვურ და ინგლისურ ენებზე, ბიჭებს სამახსოვრო ვიძეულები და ყვავილები დაურიგეს. ანძაზე ორი ქვეყნის დროშებთან ერთად ფიფას დროშაც ფრიალებდა.

.... მიუხედავად ბიჭების ოპტიმიზმისა, ნაკლებად მჭეროდა, რომ ასეთი დაღლილები კარგად ითამაშებდნენ. დაწვრილებით არ შევჩერდები თავად თამაშზე — ტელევიზიით ის ყველამ იხილა, თუმცა I ტაიმი, სადაც ჩვენების უპირატესობა ამჟამად იყო, მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემოგვთავაზეს. უკვე მეორე წუთზე შეიძლება ანგარიშის გახსნა: დარასელიამ სამი მცველი მოატყუა, მაგრამ ბურთი ზევიდან ასცდა კარს. მე-20 წუთზე

უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ვაპირებდი ამ ისტორიულ მატჩის ყველა მონაწილისგან თითო სიტყვით მაინც გადმომეცა შთაბეჭდილებები. პასუხები ყველასგან ერთნაირი იყო — დაწერე, როგორ მიგვიღეს და ყველა ყველაფერს მიხედებო.

ჩვენს ბიჭებს კი ვერაფერში გავამტყუნებ, მართლაც, რომ თავდადებით ითამაშეს: დევიძეს ხელის ტრავმა ჰქონდა და ასე ჩაატარა მთელი მატჩი; უკვე მე-15 წუთზე დასჭირდა ექიმები ცომაიას. მართალია, მან თამაში ბოლომდე მიიყვანა და ალბათ, საუკეთესოც იყო მინდორზე, აღმოჩნდა, რომ ათი დღის განმავლობაში ვეღარ ივარჯიშებს. ჩვეულ დონეზე ითამაშეს ვიაჯიშკარიანმა, დიმა კუდი-



ცხელი წყალი მხოლოდ სტადიონის გასახედელში მოდიოდა

ქართველები უცხოეთში

ბოლო წლებში საქართველოს არაერთი წარმომადგენელი გამოდიოდა და ახლაც გამოდის უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში. ამ ცხრილში ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა მიგრაცია:

თინათინ სულაძე (დინამო)	IFK პოლზნუნი (შვედეთი)	1988-89
რაგაზ მენაქია (დინამო)	IFK პოლზნუნი (შვედეთი)	1988-89
მერაბ მხარაძე (ტორპედო)	IFK პოლზნუნი (შვედეთი)	1990
ზაზა სპანაძე (დინამო)	IFK პოლზნუნი (შვედეთი)	1990-91
სოსო შაღია (დინამო)	GIF ხუნდსვალი (შვედეთი)	1991-92
პატი ცხადაძე (დინამო)	GIF ხუნდსვალი (შვედეთი)	1991
	სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)	1991-92
	დინამო (მოსკოვი, რუსეთი)	1992
ბიზ მურული (დინამო)	GKS კატოვიცე (პოლონეთი)	1991-92
	ლვ აერი (საფრანგეთი)	1992
	GKS კატოვიცე (პოლონეთი)	1992
ბიზ ჰიმეზარიანი (დინამო)	ანორთოსისი (კვიპროსი)	1991
თევზარ მახარაძე (კოლხეთი-13)	ალკი (ლარნაკა, კვიპროსი)	1991
დავით ციციანი (დინამო)	TKT ტამპერე (ფინეთი)	1992
ბორა ტაშაშაძე (დინამო)	TKT ტამპერე (ფინეთი)	1992
პატი მახარაძე (დინამო)	ოლიმპიკოსი (კვიპროსი)	1992
ბორა მორაშვიანი (ცხუმი)	უგენუინა (სოფი, რუსეთი)	1992
მურაზ ბანიძე (ამირანი)	ცემენტი (ნოვოროსიისკი)	1992
დავით ნუშარიანი (დილა)	TPV ტამპერე (ფინეთი)	1992
ლევან შიშინი (შეფარდენი-06)	ოლიმპიკოსი (კვიპროსი)	1992
ზაზა რაჰვიშვილი (დინამო)	GKS კატოვიცე (პოლონეთი)	1992

ეს ცხრილი ყველაზე სრულყოფილია აქამდე გამოქვეყნებულთა შორის, მაგრამ უნდა ვთქვათ ის ასახავს რეალურ სურათს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. უმთავრესია ის, რომ ევროპელობით არ არსებობს საქართველოს მოქალაქის სტატუსი. მაგალითად, ძველი გასაჩვენებელი უნდა შევიდნენ თუ არა ამ ცხრილში ცვეთა, სანადგარაშვილი, აფიფი და სხვები. თითოების მაგალითზე დაგვანახა, რომ შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის აღზრდილებმა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღონ.



აი, ამ ავტობუსით მიგვიყვანეს სტადიონზე

ნოვმა, გიორგი დარასელიამ, თუმცა გიორგის პირველ ოც წუთში შეეძლო „თამაშის დამთავრება“. უკვე მატჩის შემდეგ სადამოს მე, გიორგი და დათო ჯანაშია სუფთა ჰაერზე ვსეირნობდით და ვიხსენებდით ამ დათარსული მატჩის პერიპეტეებს. როგორ ააცილე — ვეკითხები ძუკუს (დარასელიას მეტსახელი). რა ვიცი აბა, — მპასუხობს, — გრუნტი იყო არა. ნორმალური, მეგონა ბურთი გავისწორე, ის კი არც მარჯვნივ აღმოჩნდა, არც მარცხნივ და ბოლოსდაბოლოს უხეიროდ დავარტყი. ჯანაშიასაც ჰქონდა ერთი კარგი მომენტი, როცა ჩვეული სისწრაფით ჩაუჭრა ორ ლიტვულს, მაგრამ... „ბოლო მომენტში ბალტუნის იკასმა ფეხის წვერილა წაჭკრა ბურთს, თორემ...“ — ნანობს დათო.

მატჩი მასპინძელთათვის სახირო ანგარიშით დამთავრდა. თუმცა გამაოცა ადგილობრივი ყურნალისტების ობიექტურობამ. მათ ამოსუნთქვა არ აცალეს ლიტვის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ლიუბინსკასს და პირდაპირ მიახალეს — ამას მოგებდა ჩვენ არ ვთვლითო. გაზეთ „რესპუბლიკას“ კორესპონდენტი კესტას გიმბუტასი კი ჩემთან მოვიდა და მითხრა: დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ფეხბურთი სულელური რამ არის, თორემ ჩვენ არ უნდა მოგვეგო. პრეს-კონფერენციაზე ლიტველი მწვრთნელი თავს იმართლებდა: „საქართველოს გუნდები არასდროს იყვნენ

სუსტები და ახლაც ჰყავთ ჯიშკარიანის, გოგიჩაიშვილის, შოთა არველაძის, დარასელიას და ყიზილაშვილისაირი ძლიერი ფეხბურთელები“. იქვე პირველად დავინახე ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ნაკრებს ჩამოსვლისთვის.

... მატჩის შემდგომ ვახშამზე უკვე თბილი პეპსიკ კი აღარ მოგიტანეს და, თუ შეიძლება ითქვას, საერთოდ მიგვაცოვეს. ავტობუსის მძღოლის გარდა თვალთ აღარავინ გვინახავს. არა უშუაეს, აწი გვეცოდინება — სად და როგორ წავიდეთ ან ვინ როგორ მივიღოთ. ხოლო ვისაც ჩემი სიტყვები გაზვიადებულად მიაჩნია, ჰკითხოს თბილისის ანცში მოთამაშე მაყიეკის და ის გეტყვით ყველაფერს. როგორც ადგილობრივმა კოლეგებმა მიითხრეს, თავად ლიტველმა ფეხბურთელებმა უსაყვედურეს




ვბრუნდებით თბილისში

თავიანთ ხელმძღვანელობას ჩვენი ასეთი „პატივისცემა“. უკანა გზაზეც ისევე „მშვენიერად“ ვიმგზავრეთ, როგორც იქითობისას. მინსკიდან გამოფრენა ორი საათით გადაიდო — უკრაინელი დისპეჩერები იყვნენ გაფიცულნი. რეგისტრაციის დროს კი აეროპორტის

ერთმა მომსახურე ქალმა ფეხბურთელების საკმაოდ დიდი ჩანთების შემხედვარემ ლანძღვა და გვიწყო: ასეთები ხართ ქართველები — ცარიელი ჩანთებით ჩამოდიხართ და სასვებით მიდიხართ, სულ გაგვადატაკეთო (ხატზე დავიფიცებ, ბიჭებს შოკოლადი რაა, ისიც არ წამოუღიათ). არადა, იმხელა ქალი იყო, მთელი ჩვენი ნახევარდაცვა რომ გავეერთიანებინათ, ვერ გადააჭარბებდა. რას იზამი მოკლედ, დილის შვიდის ნახევარზე წამოსულეებმა თბილისში დამისათი საათისთვის ჩამოვალწით. ყველაფრის მიუხედავად, მთავარი მიზანი მიღწეულია — შედგა ფიფას რეგისტრში დავიქსირებული პირველი მატჩი, მართალია მარცხიანი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მოშლილია, არ შეიძლება რაღაც ერთი დარგი მსოფლიო დონეზე იდგეს. მაგრამ



ლიტველი ლამაზმანები ჩვენს ფეხბურთელებს სუვენირებს გადასცემენ



ტრადიციული მატჩისწინა რიტუალი



ლიტველთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევა

ვერ მოვემზადეთო — გაუგებარი იქნება.

ამ რეპორტაჟს კი გიგა ნორაკიძის ოპტიმისტური სიტყვებით დავამთავრებ. პრეს-კონფერენციაზე ერთ-ერთი ჟურნალისტის დასმულ კითხვაზე — თუ გეფეხბურთებათო — ბატონმა გიგამ უბასუხა: საქართველოში შეიძლება არაფერმა არ იმუშაოს, ფეხბურთი კი ყოველთვის წინ წავაო.

.... ზემოთ უფევას გადაწყვეტილება ვახსენე. არ ვიცი, ვილნიუსში სტუმრებს როგორ ზედებიან, მაგრამ სხვა ქალაქები ასეთი „სტუმარმასპინძლობით“ უფევას ტურნირებს კიდევ კარგა ხანს ვერ იხილავენ.

ფურცლები

(ავტორის ფოტოები)

თბილისი — ადღერი — მინსკი —
კაუნასი — როსტოვი — თბილისი.

თუ ვიძახეთ — ქვეყანაში არეულობა და რა დროს ფეხბურთითაო — შორს ვერ წავალთ. საჭიროა შეძლებისდაგვარად ბევრი ასეთი მატჩის ჩატარება და არა მარტო ეროვნული გუნდის დონეზე. მხოლოდ მაშინ განვსაზღვრავთ ჩვენი ფეხბურთის ნამდვილ ძალას. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ორიოდ წელიწადში დაიწყება. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, თორემ შემდეგ უფერული თამაშის ახსნა — რა ვქნათ, ბატონო, ორი წლის წინ ცუდი სიტუაცია იყო და



შტეფს დავით ჩანაშია

დავით ქიზილაშვილი

ამ რუბრიკით
შურნალი „გოლი“
სისტემატიურად
შეგახვედრავთ
ეროვნულ ჩემპიონატში
მონაწილე იმ
ფეხბურთელს,
რომელსაც შურნალის
თანამშრომლები
კონკრეტულ თვეში
უპირატესად
მიიჩნევენ. რუბრიკას
ხსნის მოთაბაში,
რომელიც, ჩვენი
აზრით, აბვისტოს
თვეში საქართველოში
საუკეთესო იყო.



გათანხმებით, რომ საუკეთესო
ფეხბურთელის დასახელება, თვის
იქნება ეს თუ წლის, ყოველთვის
გარკვეულ პირობითობას შეიცავს.
მით უფრო, ეს ეხება წლებიანდელი
აგვისტოს უძლიერესი მოთაბაშის
გამოვლენას, რადგან ჩვენს ქვეყანაში
დატრიალებულმა მოვლენებმა ბევრ
ნიჭიერ ფეხბურთელს (თუნდაც
იგივე „ცხუმში“) თავისი შესაძ-
ლებლობების გამოვლენის საშუ-
ალება არ მისცა. ასეა თუ ისე
საქართველოს ჩემპიონატი ტარდება
და შესაბამისად ერთი სხვაზე
უკეთესად თამაშობს, ზოგიც ახლა
ინყებს ფორმაში შესვლას. ყოველ
შემთხვევაში ჩვენს სარედაქციო
რეფერენდუმში გამარჯვებული
დათო ყიზილაშვილი ნამდვილად
იმსახურებს ამას და ბუნებრივია,
არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის
საერთოდ კარგი ფეხბურთელია,
რასაც თუნდაც ეროვნული ნაკრების
კანტიკუნტ თამაშებში მისი რე-
გულარული მინვევა ასაბუთებს,
არამედ პირველ რიგში იმიტომ,
რომ აგვისტოს თვეში მან სუთ
თამაშში (სამი ჩემპიონატის, ორი
ნაკრების საკონტროლო) ექვსი გო-
ლი გაიტანა, იყო რამდენიმე გოლის
თანაავტორი. ეს სტატისტიკაა.
ამის გარდა, ჩვენ ყიზილაშვილის
მონაწილეობით რამდენ თამაშსაც
დავეხსნართ, ვნახეთ თუ როგორი
„ტერორის“ ქვეშ მყავდა მას მო-
წინააღმდეგის დაცვა იმ მომენტებში,
როცა გოლი არ გასულა.

— დათო, შენ ახალი ჩემ-
პიონატი ახალ გუნდში, „შე-
ვარდენი-08“-ში დაინყე. მარ-
თალი გითხრა გამიკვირდა,
რადგან „დინამოში“, „ცხუმში“
ან „გორდამში“ ველოდი შენს
დარწმუნებული ვიყავით, რომ
ეს სამი გუნდი ევროთასების
გათამაშებებში მიიღებდა მონა-
წილეობას. შენ კი... თუმცა,
მოდით ჯერ ის გამოავლინე
„ოდშიდან“ რატომ ნამოხვედი.

— თავიდანვე ხაზგასმით მინდა
აღვნიშნო, რომ ზუგდიდში შე-
სანიშნავად ვგრძობდი თავს. იქა-
ურები ძალიან თბილი და კარგი
ხალხია. არც პოლიტიკურ არეუ-
ლობას გამოვქცევია, უბრალოდ,
კაცისათვის, რომელსაც თბილისში
ჰყავს ოჯახი, სახლიდან ასე შორს
ყოფნა საკმაოდ ძნელია. ამას კონ-
ტრაქტთან დაკავშირებული გარ-
კვეული გაუგებრობაც დაერთო და
მეც საბოლოოდ ნამოსვლა ვარჩიე

— ... და „შევარდენში“
ნამოხვედი.

— „შევარდენში“ დიდი შე-
მოსავლის გულისათვის არ წა-
მოვსულვარ. აქ სხვა მიზეზებია.
ჯერ ერთი გუნდს სათავეში მურთაზ
სურცილაძეა უდგას, რომლითაც,
როგორც მწერთნელთან მუშაობა
ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. გა-
რდა ამისა გუნდის მეორე
მწერთნელი რეზო გაგუა, კაცი,
რომელმაც ბაგშვობაში მაზიარა
ფეხბურთს. ჩემი მათადმი დამო-
კიდებულება უფრო ნათელი რომ
გახდეს გეტყვი, რომ მათი ოსონით
უარი განვაცხადე. კიდევ ერთი
მიზეზია ფეხბურთელები. ევრო-
თასებზე გამსვლელ გუნდებს ვარჩე
კარგი ფეხბურთელებისაგან დაკომ-
პლექტებულ, განახლებულ გუნდში
თამაში. საკუთარი მოპოვებული
„უფა“ ყველაფერს სჯობს. ჩვენ
სამეულში მოხვედრა გადაწყვიტეთ
და მე ეს ბრძოლა უფრო
მაინტერესებს, იმიტომაც, რომ მე
არც საქართველოს ჩემპიონი
ყოფილვარ, არც პრიზიორი და
არც თასის მფლობელი.

— მოკლედ გუნდში სერიო-
ზული მუშაობაა გაჩაღებული.

— სრულიად სერიოზული, რაც
პირადად მე ძლიერ მჭირდება.
ახლა ვგრძობ, რომ ბოლო ორი-
სამი წლის მანძილზე რაღაც
გამოვტოვე. უკანასკნელ ხანს ეს
გამძლეობაზეც მეტყობოდა. ახლა
ყველაფერი უნდა ავინაზღაურო.

— კვიპროსი ახსენე. სხვა
ქვეყნებიდანაც სომ არ გკონდათ
მინვევები?

— იყო მინვევა ესპანეთიდან,
უკრაინიდან. საბერძნეთიდან ცოტა
ხნით ჩამოვიდა ოდისეი აბრამიძის,
ზესტაუნის „მარგვეთის“ ყოფილი
ფეხბურთელი, ახლა საბერძნეთის
მოქალაქე. მან მითხრა, რომ
იქედანაც ცდილობდნენ ჩემთან
დაკავშირებას, რათა მივეწვიეთ
კლუბში, სადაც ის და ქართული
ფეხბურთის მეორე აღზრდილი
ანდრო კიურჯიევი (ახლა ნინიძისი)
ერთად თამაშობენ. მითხრეს
უმაღლეს ლევაში გადასვლის აპკარა
შანსი გვაქვსო, მაგრამ გულმა არ
გამინია.

— რომელიმე მაღალი კლასის
გუნდს რომ მიენვიე?

— მაღალი კლასის გუნდს რომ
მიენვიე, სხვა ამბავია, თუმცა
რეალურად ეს საკითხი არ დგას.
კვიპროსსა თუ ფინეთში მინვევები

«მე ეს ბრძოლა უფრო გამინტერესებს»

კი ყოველთვის იქნება, ასე რომ აქ საჩქარველი არაფერია? ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, „შეკარდენში“ ერთი წელი მაინც აუცილებლად უნდა დაერჩე.

— ერთი წელი? თუ გაისად „შეკარდენი“ რომელიმე ევროთასზე გავიდა?

— თუ გავიდა, ძლიერმა გუნდმა რომ მიმინეოს, კარგად დაფიქრება დამჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად.

— საერთოდ, ქართველი ფეხბურთელების კვიაროსში, ფინეთში და სხვა არცთუ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნებში გასვლას როგორ უყურებ?

— ალბათ ვინც ასეთ არჩევანს ატოვებს მენტალურად ასაკოვანია,

გაბეღია ყოველთვის ჩემი უფროს მეგობარი იქნება.

— მოდი მოედანზე გადავინაცვლოთ. შენ ყოველთვის თავდამსხმელი იყავი?

— კი, ბავშვობიდან თავდამსხმელი ვიყავი და სხვა ამპლუაში თამაში არ მიცდია. თუმცა არა... ერთი-ორჯერ ვარჯიშზე მეკარება ცვადა და მგონი ცუდად არ გამომივიდა.

— მეკარება გვერდზე გადავლოთ. თავდამსხმელი ყიზილაშვილით თუ ხარ კმაყოფილი?

— რაც უნდა მოხდეს, მაინც არ ვიქნები კმაყოფილი საკუთარი თავით. კაცი საკუთარ თავს ყოველთვის მეტს თხოვ.

— შენთვის რომ ეთხოვათ, აკვისტოს საუკეთესო ფეხბურ-

— შენი ძლიერი და სუსტი მხარეები შეგიძლია დაასახლო?

— ჩემი აზრით, თავით კარგად ვთამაშობ. სისუსტე კი ის მაქვს, რომ მარცხენა ფეხს მარჯვენასავით ვერ ვვლობ.

— შენ, როგორც თავდამსხმელი პარტნიორებზე დიდად ხარ დამოკიდებული...

— ეს მართლაც ასეა და ამ მხრივ უკმაყოფილო ვერ ვიქნები. „შეკარდენში“ მარცხნიდან ჯიშკარიანი, მარჯვნიდან გოგინაიშვილი, ხოლო შუიდან ნემსაძე მამარაგებენ კარგი პასებით. კარგად ვუგებ მინაშვილსაც, მე მგონი გოგა ხურცილავასაც კარგად ვეწყობი. ადრინდელი თანაგუნდელებიდან ყველაშვილს და ბიგვაეას გამოვყვოდი. მართალია შოთა არე-

— იმ ნაკრებში თუ თამაშობდა რომელიმე დღეს ცხობილი რუსი ფეხბურთელი?

— მოროზი, ბევენარი, ნიკი-ფოროვი... ყველა არ მასსოვს. მასსოვს ის, რომ ექვსი მათგანი მსოფლიო ჩემპიონი იყო 1970 წელს დაბადებულთა შორის.

— ტოტო სკლაჩის უთქვამს, თავდამსხმელი საჯარიმოს გარეთ ალტრუსისტი უნდა იყოს, საჯარიმოში კი ეგოისტიო. ეთანხმები?

— ჩემთვის მთავარია გოლი გავიდეს და თუ ვინ გაიტანს ეს სულერთია. სულაც არ ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ მაინცდამაინც მე გავიტანო ბურთი.

— ამასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული აზრი მომისმენია. ერთნი ამბობენ — ჩვენები ისე ცუდად არიან ფიზიკურად მომზადებულნი, რომ ნებისმიერი „ჯანმრთელი“ უცხოური გუნდი „გადაურბენსო“. მეორენი თავს ასე იმედიდებენ — ჩვენებს კარგი ტექნიკა აქვთ და უცხოელ „მორბენლებს“ ბურთს „დაუმალავენო“.

— ნებისმიერი გუნდისა რა მოგახსენო, ისე ცხადია, იქნებიან გუნდები, რომლებიც ალბათ მოგვიგებენ, მაგრამ ვერ „გადავირბენენ“. საქართველოში არის სამი-ოთხი გუნდი, მაღალ ტემპში თამაში რომ შეუძლია. ყველაფერი ისე და ისეე პირად შეხვედრებში გადაწყდება.

— დათო, დღეს შენ ფაქტობრივად პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ. და მაინც, როდის უფრო პროფესიული მიდგომა იყო საქმისადმი, ახლა თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების დროს?

— ჩემი პასუხი შეიძლება მაინცდამაინც კომპეტენტური არ იყოს რადგან მაშინდელი „დინამოს“ დროს ფაქტობრივად ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მიდგომა დღეს უფრო პროფესიულია.

— გახსოვს შენი პირველი გოლი საკავშირო ჩემპიონატში?

— ცხადია მასსოვს. ეს იყო 1989 წელს დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“. მაშინ პირველად შემოვედი შეცვლაზე და გოლიც გავიტანე.

— რაზე ოცნებობ როგორც ფეხბურთელი?

— რომ გიპასუხო მსოფლიო ჩემპიონობაზე მეტი, ყურით მორთული ზღაპარი იქნება. ისევ რეალობიდან გამომდინარე გიპასუხებ. დღეს ყველაზე მეტად მინდა „შეკარდენმა“ რომელიმე ევროთასის საგზური მოიპოვოს. შემდგომი პერსპექტივები კი თანდათან გამოჩნდება.

— თამაშის დროს გულშემატკივრის შეძახილები როგორ მოქმედებს შენზე?

— მხარდაჭერა უდიდესი



ტორპედო — ნაკრების საკონტროლო შეხვედრაში დავით ყიზილაშვილმა ორი გოლი გაიტანა. ეს ფოტო მისი მორიგი შეტევის დროსაა გადაღებული

ან ჯერჯერობით უკეთესი მიწვევა არ მიუღიათ. ცოტა ფულსაც იშოვნიან.

— ისევ ტრანსფერის თემაზე მინდა გკითხო, საქართველოს რომელი გუნდები გეპატივებოდნენ?

— იყო სამი-ოთხი მიწვევა...

— დათო! ჩემთვის ცნობილია, რომ შენ განსაკუთრებულ პატივს სცემ ოთარ გაბელიას. ის „ოლიშში“ შენი მწვრთნელი იყო. დღეს ერთად აღარ ხართ...

— ოთართან მართლაც საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. ის მწვრთნელობამდე ჩემი თანაგუნდელი იყო. ესლა მე მის გუნდში „ალაზანიში“ არ ვთამაშობ, რის გამოც შესაძლოა გულის სიღრმეში ნანწყინიც არის, მაგრამ არ იმჩნევს. ასეა თუ ისე, ოთარ

თელის დასახელება, ვის დასახელებდი?

— ჩემთვის რომ გკითხვან, ჩვენს მეკარეს, აკაკი დევაძეს დავასახელებდი. ძლიერი მეკარეა და ახლა ძალიან „მაგარ“ ფორმაშია. მე არც მეგონა ასე ძლიერი თუ იყო.


— შენ და დევაძე ამ სეზონში გახდით თანაგუნდელები. მანამდე თუ გაგიტანია გოლი მის კარში?

— შარშან მე რომ ზუგდიდში ვთამაშობდი და ის ზესტაფონში, ერთ თამაშში ორი პენალტი გაუტანა, თანაც მეორე შემთხვევაში მან ნამაქცია და თერთმეტმეტრიანი იმიტომ დაინიშნა. მე არ ნამიქცევინარ, შენ თითონ დაარღვე წესო — ისე განწყნდა, ლამის მოედნიდან გაიქცა.

ლაქსთან ერთად არ მითამაშია, მაგრამ ასე მგონია, მასაც კარგად შეეწყობოდი.

— საშურის „ივერიასთან“ მესამე ტურის მატჩში „მაკრატელა“ დაარტყი. მართალია ის შეტევა გოლით დაგვირგინდა, მაგრამ მას შემდეგ რაც შენმა პარტნიორებმა მოგერიებულ ბურთს დაამატეს. ოდესმე თუ გაგიტანია „მაკრატელა“ დარტყმით?

— ჩემპიონატში არ გამოიტანია. ისე კი თუ ეს დიდ ფეხბურთში გატანილ გოლად ჩამეთვლება, ჩვიდმეტი წლის რომ ვიყავი, მე და დევაძე საბჭოთა კავშირის იუნiorთა ნაკრების შემაღველობაში საფრანგეთში ტურნირში ემონანილოვობდით. მაშინ გაუტანა ერთ-ერთ ფრანგულ გუნდს „მაკრატელა“.



თავი, შენი ოჯახი.
 — ვარ თბილისელი. მყავს მეუღლე, დედ-მამა, და.
 — **კახელი ხარ?**
 — არა, თუში ვარ. სახლიც გვაქვს ზემო ალენაში, სადაც ბებია ცხოვრობს.
 — **სწორად ჩადიხარ სოფელში?**
 — სამწუხაროდ სწორად ჩასვლას ვერ ვახერხებ.
 — **როდესაც ჩადიხარ თუ ეხმარები ბებიას იქაურ საქმიანობაში?**
 — სამწუხაროდ სოფლის მეურნეობაში ვერ ვერკვევი.
 — **ოჯახის წევრები ალბათ**

გიხვრია, ვერც იმას გეტყვი უმარტო მყავს მეოთხე, მაგრამ არც ვიცი თქმის.
 — **სხვათაშორის გაიგე რომ ნარდს თამაშობ ძალიან კარგად...**
 — პროფესიონალობაზე ნამდვილად არ მაქვს პრეტენზია. ბავშვობაში ეზოში ვისწავლე თამაში. ისე კი, ქუთაისში ნაკრების სანერტული შეკრების დროს ყველას მოუვლე, შენი კოლეგის ზურაბ მეძველას ჩათვლით (ამას ნაკრების ფორვარდისაგან ნარდში არაერთხელ დამარცხებული ზურაბ მეძველიაც ადასტურებს, ოღონდ ყველაფერს ყისმათს აბრალებს. —

მნიშვნელობა აქვს. მონინალმდგის გულშემატკივარს კი მართალი რომ გითხრა ყურადღებას არ ვაქცევ. გაამხნეონ თავიანთი გუნდი, ეს მათი უფლებაა და ჩემზე არ მოქმედებს. ცხადია აქ უნმანურ გინებას არ ვგულისხმობ.

— **რამდენადაც შევაძენი მსაჯებს არასოდეს შევამთები.**

— რა აზრი აქვს?! ის გადაწყვეტილებას არ შეიცვლის, მე კი ტყუილად უნდა ვიშალო ნერვები და აყალბაყალი ავტესხო.

მსაჯებთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გაიხსენო. ერთ-ერთ შეხვედრაში მსაჯის სასტყენით უკმაყოფილო დათომ (მეკარესთან პირისპირ შედიოდა და თამაშგარე აღუნიშნეს) ბურთს მაინც წაკაო ფეხი და კარში შეაგდო. მსაჯმა იგი სიტყვიერად გააფრთხილა, ერთ-ერთმა მოწინააღმდეგე კი ერთი ამბავი აუტეხა რეფერის, ყიზილასეილი რომ არის ყვითელ ბარათს იმტომ არ აჩვენებო. დათო წყნარად მიუბრუნდა მსაჯს და უთხრა: მაჩვენე ყვითელი ბარათი, არ მინდა ვინმეს სალაპარაკო მივცეო.


— **კიდევ ერთ, ჩემი აზრით მტკივნეულ საკითხს მინდა შევეხო. ამ ბოლო დროს ქართველი ფეხბურთელები თითქოს ცალკეული იღვთისა თუ დარტყმის ლამაზად შესრულებას იძენ ყურადღებას აღარ აქცევენ.**

— **ლინეკერის ნაოქვაობისა არ იყოს, ჩემთვის სულ ერთია თავით გავიტან თუ ფეხით, მთავარია გოლი გავიტან. თამაშის დროს გონება მხოლოდ ამზე მაქვს გადაართული.**

— **დათო, „ჩანყობილი“ თამაშებში სწორად მიგილია მონაწილეობა?**

— **მოდი ასე ვიტყვი, ფეხბურთს სილაპაზუს სწორედ „ჩანყობილი“ თამაშები უქარგევენ.**

— **ახლა მსოფლიო ფეხბურთსაც ვაგხედოთ. ვის მსა-**



რესაა შენი სიმბათია?

— გერმანიის მიყვარს მკაცრი, დისციპლინირებული ფეხბურთი. ძალიან მომწონს მათეუსი, ჩემი ამპლუის ფეხბურთელებიდან კი კლინსმანი, თუმცა ამ ვეროპის ჩემპიონატზე ცოტა „შემარცხვინა“.

— **ეს თანამედროვეები. საერთოდ ვინ არის შენი (ბოდიში ბანალური შეკითხვისთვის) საყვარელი ფეხბურთელი?**

— კრუფი. მისი თამაში მხოლოდ ვიდოჩანანერებით მინახავს, მაგრამ ერთადერთი რამის თქმა შემიძლია — დიდებულა.

— **შენზე რომ იყოს დამოკიდებული, რომელ გუნდში ნახვიდოდი სათამაშოდ?**

— „მილანში“.

— **ალბათ ბევრ ქვეყანაში გიმოგზაურია. რომელი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად.**

— **ფეხბურთმა მართლაც ბევრი მოგზაურობის საშუალება მომცა. ყველაზე მეტად კი ალბათ მაინც საფრანგეთი მომეწონა.**

— **დათო, გაგვაცანი შენი**

შენი ყველაზე ერთგული გულშემატკივრები არიან. საინტერესოა დარიგებებს თუ გაძლევენ სახლში, თამაშებს თუ გირჩევენ.

— **ბუნებრივია, ოჯახის წევრები ჩემს ნარმატება-ნარუმატებლობას ძალიან განიცდიან, მაგრამ თამაში რომ გაერჩიოთ ასეთი რამ ნამდვილად არ მომხდარა.**

— **რამდენი ხანია, რაც დასასვენებლად არ წახულხარ?**

— **რაც ფეხბურთელი ვაგხდი.**

— **ახლა, რომ მოგეცეს საშუალება სად და როგორ დაისვენებდი?**

— **სად ბუსტად ვერ გეტყვი. როგორ? მეუღლესთან ერთად ნავიდიოდი სადმე.**

— **მეგობრების ნრეზე რას გვეტყვი, ბევრი მეგობარი გყავს? ზოგი მაგალითად ყველა მეტ-ნაკლებად კარგ ნაცნობს ძმაკაცს არქმევს...**

— **ჩემის აზრით ძმაკაცობა ბავშვობიდან უნდა მოდიოდეს. მეგობრების რაოდენობაზე კი რა**

ი. ბ.), თუმცა არა, იქ დარჩა ერთი კაცი, ფოტოკორესპონდენტი გია ახალაძე, რომელთანაც არ მითამაშია, ასე რომ აბსოლუტურ ჩემპიონობას ვერ დავიბრალბე.

— **საამ? ენევი?**

— **არ ვსვამ, არ ვენევი.**

— **დათო, შენ საკმაოდ ახალგაზრდა ხარ და პრესა უკვე ყურადღებას აქცევს...**

— **ჩემი პრესასთან ურთიერთობა შარშან დიანყო. ორჯერ თუ სამჯერ ჩამომართეს ინტერვიუ.**

— **სომ არ ყოფილა შემთხვევა როდესაც ნავითხული შენს ნთქვამად ვერ შეგიცვინია?**

— **მიუხედავად ასეთი მცირე სტაჟისა, მართლაც ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნამიკითხავს ის, რაც უბრალოდ არ მითქვამს, მაგრამ ისე არ გამიგო თითქოს პრესისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. ჟურნალისტებს შორის მეგობრებიც მყავს.**

— **როგორ ამუშავებს ქართული პრესა ეროვნულ ჩემპიონატს?**

— **ჩემის აზრით ქართულ**

**ჟურნალ „გოლის“
ავტისტოს
სიმბოლური ნაპრები**



მეულღესთან ერთად

- მეკარე
 აპაქი დევახაძე (შვედარდენი)
 მცველები
 მურთაზ შელია (დინამო)
 დიმიტრი კუდინოვი (დინამო)
 გონა ჩიქოვანი (დინამო)
 ნახევარმცველები
 გიბა ჯიშკარიანი (შვედარდენი)
 ოთარ კორღალიძე (ალაზანი)
 დავით ცოშია (ალაზანი)
 გიორგი ნემსაძე (შვედარდენი)
 თავდამსხმელები
 დავით ყიზილასვილი (შვედარდენი)
 ჯუშუბარ ჩუხუა (მრეტები)
 ივანე ჯუღელი (მარტვეთი)

პრესაში თამაშების გარჩევა მთლად სასურველ დონეზე არ არის. ეფიქრობ უფრო ღრმად უნდა იხილადნენ საკითხს. ასე მაგალითად, იშვიათად წაიკითხავ ამა თუ იმ ფეხბურთელის კრიტიკას აქცენტი უფრო ქებაზე კეთდება. მე ჩემს თავზეც ვამბობ. თუ ცუდად ვითამაშებ, გამაკრიტიკონ, ამას არ ვინეყენ. წელან ვახსენე, რომ ჟურნალისტებს შორის მეგობრებიც მყავს, ზურაბ მეძველია და მამუკა კევარაცხელია. მათ, როგორც მეგობრებს პირველ რიგში მოეთხოვებათ ჩემთვის შენიშვნის მოცემა და ეჭვი არ მეპარება როცა ამას საჭიროდ ჩათვლიან, არ დააყოვნებენ.

— ალბათ ასეც იქნება. ახლა ცოტა „გადატეხილი“. ხომ არ გაიხსენებდით ფეხბურთთან დაკავშირებულ შენს პირველ ემოციას?
 — ყველაზე დიდი ემოცია იყო 1981 წლის 13 მაისს. მაშინ 10 წლის ვიყავი. ის თამაში კარგად მახსოვს. უფრო ადრეც იყო რაღაც ემოციები, მაგრამ ახლა ბუნდოვნად მახსენდება.
 — თუ აქვს შენთვის მნიშვნელობა მოედანზე როგორი ფორმით თამაშობ?

— რა თქმა უნდა. კარგ, ლამაზ ფორმაში სულ სხვანაირად გრძობ თავს.

— ნომერს?
 — ძირითადად, ყოველთვის ათი ნომერი ვიყავი, თუმცა იყო ცალკეული შემთხვევები სხვა ნომრის მაისურა რომ მეცვა. ისე კი, თერთმეტი ნუ იქნება და სულერთია რას ჩავიცვამ.


— ჯერ კი ძალიან ადრეა ამ შეკითხვის დასმა, მაგრამ მაინც გკითხავ. ფეხბურთის თავს რომ დაანებებ... გიფიქრია ამაზე?

— თავს რომ დაეანებებ... მწვრთნელად... მწვრთნელად ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. მაგრამ ფეხბურთის გარეშეც...

— დათო, ახლა, ჩვენ რომ ვსაუბრობთ შესაძლოა საქართველოს უდიდეს ნაწილს უბრალოდ არ ეფეხბურთება...

28.10.92 ლიტვა — ლატვია

11.11.92 ალბანეთი — ლატვია

18.11.92 ჩრ. ირლანდია — დანია

ესპანეთი — ირლანდია

16.12.92 ალბანეთი — ჩრ. ირლანდია

24.02.93 ესპანეთი — ლიტვა

31.03.93 დანია — ესპანეთი

ირლანდია — ჩრ. ირლანდია

14.04.93 დანია — ლატვია

ლიტვა — ალბანეთი

28.04.93 ირლანდია — დანია

ესპანეთი — ჩრ. ირლანდია

ლატვია — ალბანეთი

15.05.93 ლიტვა — ჩრ. ირლანდია

25.05.93 ალბანეთი — ირლანდია

26.05.93 დანია — ალბანეთი

02.06.93 ლატვია — ჩრ. ირლანდია

ლიტვა — ესპანეთი

09.06.93 ლატვია — ირლანდია

16.06.93 ლიტვა — ირლანდია

25.08.93 დანია — ლიტვა

08.09.93 ჩრ. ირლანდია — ლატვია

ირლანდია — ლიტვა

ალბანეთი — დანია

13.10.93 ირლანდია — ესპანეთი

17.11.93 ჩრ. ირლანდია — ირლანდია

ესპანეთი — დანია

IV ჯგუფი: ბელგია, ჩეხეთსლოვაკეთი,
რუმინეთი, უელსი,
კვიპროსი,
ფარერის კუნძულები.

22 აპრილი, ბრიუსელი.
ბელგია — კვიპროსი 1:0

ვილმოტსი (24)

6 მაისი, ბუქარესტი.
რუმინეთი — ფარერის კ-ბი 7:0

ბალინი (4, 38, 78), პაეი (14),
ლევეტსუმი (28), ლუბესკუ (44), პანა (55)

20 მაისი, ბუქარესტი.
რუმინეთი — უელსი 5:1

პაეი (5, 35), ლუბესკუ (7, 24),
ბალინი (31); რაში (51)

3 ივნისი, ტორფორი.
ფარერის კ-ბი — ბელგია 0:3

ალბერი (29), ვილმოტსი (65, 71)

17 ივნისი, ტორფორი.
ფარერის კ-ბი — კვიპროსი 0:2

სოტირიუ (30), პაპავასილიუ (52)

2 სექტემბერი, პრაღა.
ჩეხეთსლოვაკეთი — ბელგია 1:2

კაღეცი (59); ხოვანეცი (24,
ავტოგოლი), ჩერნიატინსკი (83)

09.09.92 უელსი — ფარერის კ-ბი

23.09.92 ჩეხეთსლოვაკეთი — ფარერი

14.10.92 ბელგია — რუმინეთი

კვიპროსი — უელსი

14.11.92 რუმინეთი — ჩეხეთსლოვაკეთი

18.11.92 უელსი — ბელგია

29.11.92 კვიპროსი — რუმინეთი

14.02.93 კვიპროსი — ბელგია

24.03.93 კვიპროსი — ჩეხეთსლოვაკეთი

31.03.93 ბელგია — უელსი

14.04.93 რუმინეთი — კვიპროსი

25.04.93 კვიპროსი — ფარერის კ-ბი

28.04.93 ჩეხეთსლოვაკეთი — უელსი

22.05.93 ბელგია — ფარერის კ-ბი

02.06.93 ჩეხეთსლოვაკეთი — რუმინეთი

06.06.93 ფარერის კ-ბი — უელსი

16.06.93 ფარერი — ჩეხეთსლოვაკეთი

08.09.93 უელსი — ჩეხეთსლოვაკეთი

ფარერის კ-ბი — რუმინეთი

13.10.93 უელსი — კვიპროსი

რუმინეთი — ბელგია

27.10.93 ჩეხეთსლოვაკეთი — კვიპროსი

17.11.93 უელსი — რუმინეთი

ბელგია — ჩეხეთსლოვაკეთი

V ჯგუფი: რუსეთი, იუგოსლავია,
უნგრეთი, საბერძნეთი,
ისლანდია, ლუქსემბურგი.

13 მაისი, ათენი.
საბერძნეთი — ისლანდია 1:0

სოფიანოპოლისი (28)

3 ივნისი, ბუდაპეშტი.
უნგრეთი — ისლანდია 1:2

კიკოვიჩი (3); ოროლიგონი (52),
მაგერსონი (74)

02.09.92 ისლანდია — იუგოსლავია

09.09.92 ლუქსემბურგი — უნგრეთი

23.09.92 იუგოსლავია — რუსეთი

07.10.92 ისლანდია — საბერძნეთი

14.10.92 რუსეთი — ისლანდია

უნგრეთი — იუგოსლავია

28.10.92 რუსეთი — ლუქსემბურგი

11.11.92 საბერძნეთი — უნგრეთი

15.11.92 ლუქსემბურგი — იუგოსლავია

17.02.93 საბერძნეთი — ლუქსემბურგი

31.03.93 უნგრეთი — საბერძნეთი

იუგოსლავია — ლუქსემბურგი

14.04.93 ლუქსემბურგი — რუსეთი

28.04.93 რუსეთი — უნგრეთი

იუგოსლავია — საბერძნეთი

20.05.93 რუსეთი — საბერძნეთი

ლუქსემბურგი — ისლანდია

02.06.93 ისლანდია — რუსეთი

16.06.93 ისლანდია — უნგრეთი

22.08.93 იუგოსლავია — ისლანდია

08.09.93 უნგრეთი — რუსეთი

16.09.93 ისლანდია — უნგრეთი

22.08.93 იუგოსლავია — ისლანდია

08.09.93 უნგრეთი — რუსეთი

16.10.93 ისლანდია — უნგრეთი

22.08.93 იუგოსლავია — ისლანდია

08.09.93 უნგრეთი — რუსეთი

16.10.93 ისლანდია — უნგრეთი

22.08.93 იუგოსლავია — ისლანდია



მსოფლიო ჩემპიონატი



ისტორიის

რუბრიკას უძღვება მოღარ გუბუშვილი

არსებობს მოსაზრება, რომ პირველად იგი ფეხბურთი, მერე კი სპორტის ყველა სხვა სახეობა მაგრამ ასეთი ზოგადი მონაცემებით ისტორია ცხადია, არ იქნება. ფეხბურთის წარმოშობის დროსა და ადგილზე ან არაფერია ცნობილი, ან ძალზე ცოტა რამ. მეტწილად სარწმუნო გახლავთ მხოლოდ ის, რომ ფეხბურთის მსგავსი თამაში შორეულ წარსულშიც საძაღო გავრცელებული, პოპულარული სანახაობა ყოფილა.

ამ ვერსიის სისწორე დასტურდება დღემდე შემონახული რამდენიმე წერილობითი საბუთით, რომლებსაც აქვთ კონკრეტული თარიღი და ამის გამო გარკვეულ ისტორიულ დიარეულებას წარმოადგენენ. მათ შორის უძველესია ერთი ჩინური ფილიანტი, სადაც ბურთით თამაში მოხსენებულია, რიგობრივ ადგილობრივ მოსახლეობის საყვარელი გართობა და ფიზიკური წირობის საშუალება. ამ წერილობითი დოკუმენტის თანახმად გამარჯვებული მხარის გამოსვლენ რაღაც კონკრეტული წესი კი არსებულა, რომელმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, ვერ მოაღწია.

სამაგიეროდ დოკუმენტურად არის დადგენილი, რომ თამაშზე კონტროლი მომრიგებელ-მსაჯეს ეკუთვნოდა, ამ ფუნქციას კი მეტწილად ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი (იმპერატორი), ან მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის რომელიმე უხუცესი წევრი ასრულებდა. იმპერატორი, როგორც თამაშის უზენაესი მფარველი, მფურეი გულუხვობითა და გატაცებით აჯილდოვებდა გამარჯვებულთ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც დამარცხებულებს ივიწყებდა. ერთ წერილობით წყაროში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გაწყვეტეს მამულის გონებათმშერცხველი გუნდის წევრები. სასჯელის ასეთი მკაცრი ზომა ხელს უშლიდა ფეხბურთის პოპულარობას მოსახლეობაში და ახალგაზრდობას თამაშის ხალხის უკარგავდა. და მაინც ფეხბურთი ხალხის საყვარელ გართობად რჩებოდა.

ფეხბურთის თავის დროზე ხარკი მოუხადეს იულიუს კესარის ლეგიონერებმაც. თვით კეისარი თამაშს (ლათინურად „გარასტესუს“) სამხედრო ხელისუფლების ერთ სავალდებულო ელემენტად მიიჩნევდა და ყოველწლივად წერაგულად არამაში. ლეგიონერები მეტწილად ჩვრებით ან ნახევრებით დატყეპილ ტყავის ბურთებით თამაშობდნენ. მიზანი მარტივი იყო: მოქიშპე გუნდის წევრებს უნდათ ორ ვერტიკალურ ძელს შორის უხდა გაეჭრებინათ ფეხით, ხელით, ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილით. მეტოქის შეჭრება წყალობითი იყო ყველა ხერხითა და საშუალებით, რაც ხშირად ტრაგეფს, ზოგჯერ კი უბედურ შემთხვევასაც იწვევდა.

კეისარის ლეგიონერთა გარნიზონები მომთავსებულ იყო მთელს ევროპაში, უფრო მეტად კი კერძაბანის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ინგლისის ქალაქებში. ადგილობრივი მოსახლეობა ხა-

ლისით სწავლობდა ლეგიონერთა სამხედრო ვარჯიშებს. ალბათ ამ ვითომ დაკვიდრდა „დატყეპილი ბურთის“ კულტი ევროპაში. მაგრამ დადგა დრო – რომაელებმა მიატოვეს დაპყრობილი და ნაძარცვი ქალაქები. ისინი მიდიოდნენ ჩუმად, თავდაზრილი, მიდიოდნენ სამუდამოდ და თან მიჰქონდათ ამ უცნაური თამაშის სიყვარული. ადგილობრივმა მოსახლეობამ ძალე დაივიწყა იგი.

ფეხბურთის უძველესი წინაპარს კარგად იცნობდნენ ეგვიპტეშიც ეს ერთხელ კიდევ ცხადყო XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა.


ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ფეხბურთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა, რასაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა სამხადისმა. ამ პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები, სადაც ფეხბურთი, უპირველესი სპორტული სანახაობა, აყვანილი იყო ერთგულნი ინტერესების დინამიკად.

ფეხბურთის ისტორიის მეცნიერულ შესწავლასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი სენსაციური ცნობა მიკველუდ იქნა ბრაზილიაში. ცნობილია სწავლულმა და პედაგოგმა ფერიერემ სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ დაბლობზე აღმოჩენილი უნიკალური ძეგლები პირდაპირ ფეხბურთის ისტორიის საწყის პერიოდს დაუკავშირა. ბრაზილიელი არქეოლოგის მტკიცებით საუკუნოვანი მტკრისაგან გაწმენდილი და გაციცხლებული ქვის სფერები სხვა არაფერი იყო თუ არა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო სტადიონის ნანგრევები.

ფეხბურთის ისტორიის ცალკეული პერიოდები შესჯადა ადგილები და აღწერილი სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომში, წიგნში, ალბომში. ეს გამოკვლევები ბევრ საინტერესო და გაბედულ მოსაზრებას მოიცავს. ზოგი მაგთან მწყობრად არის დასაბუთებული, ზოგი კი, რა დასაშაღია და, ეჭვსა და უნდობლობას იწვევს. ამიტომ ხელალებით არც მათზე დაყრდნობა შეიძლება და არც უარყოფა.

აი ერთი მაგალითი. ფრანგი ისტორიოგრაფის შორის პეფერაინის ავტორიტეტი სამეცნიერო წრეებში საკმაოდ მაღალია და შეუძლებელია. მაგრამ ფეხბურთთან დაკავშირებით ერთხელ მასაც წასაძღა სულმა და შემოწმებული დეფინიცი წამოაგონა, რომელმაც შემდეგ იღიდა კამათი და დავა გამოიწვია. მიუხედავად ამისა ერთი ფეხბურთის სამშობლო სპორტის ისტორიის მკვლევართა საფრანგეთის ტერიტორიაზე უნდა ეძებნათ, დაახლოებით საფრანგეთის ტერიტორიაზე და არსად სხვაგან. მან ისიც კი „დაადგინა“, რომ ფეხბურთის წინამორბედს შუა საუკუნეებში „ლა სულს“ უწოდებდნენ. სხვათა შორის „ლა სულს“ არსებობაში ეჭვი არც ინგლისელებს შეუტანიათ.

პირველად იყო ფეხბურთი



1410 წ. ასე ეზღადებოდნენ „კალოსის“ სათამაშოდ

ასეთი თამაში შუა საუკუნეების საფრანგეთში მართლაც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ იგი თურმე იმდენად განსხვავდება ფეხბურთისაგან, რომ შეუძლებელია მისი უშუალო წინამორბედად მივიჩნიოთ.

ფეხბურთის ისტორიაზე განსაკუთრებით კი თამაშის ჩასახვის პირველი პერიოდზე ყველაზე შემოწმებულ და აზრიან ცნობებს ინგლისელი ისტორიოგრაფები გვაწვდიან. მათი მტკიცებით ფეხბურთი წარმოადგება იმ თამაშისაგან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ბრიტანეთის ტერიტორიაზე სავაზოფული დღესასწაულების პერიოდში. თამაშს ჰქონდა კონკრეტული მიზანი, მკაცრად ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ჩარჩოები, წესები, რომლებსაც მოასპარეზები მტკიცედ იცავდნენ. სარბიელად გამოყენებული იყო ქალაქის ქუჩები, მიედნები, გარეუბნები. სანახაობა, ჩვეულებრივ, ნამუდღევს იწყებოდა და შებინძურებულ გრებლებზე, გამარჯვებულად ითვლებოდა გუნდი, რომელიც ბურთს მთელს ქალაქში მოატარებდა და წინასწარ დათქმულ ადგილზე მიიტანდა.

ინგლისელი მწერალი სტაბსი ამ თამაშს ახასიათებს ასე: „ფეხბურთის მუდამ ან ასლად ჩხუბი, შფოთი, აყალ-მაყალი. იგი ხშირად უბედური შემთხვევის მიზეზიც გამხდარა... სამიშ და უხეიო გართობად მაინდათ ფეხბურთი მაღალი წინასწარმადგენებს – ტრადიციულ ინგლისურ არისტოკრატებს, რომლის დაკისნებითი თხოვნითაც აკრძალა იგი მუვე ედუარდ II 1313 წელს. მაგრამ ერთი ახირებული დეკრეტით პოპულარული თამაშს გაუკუბა ქვეყნიდან მწელი

საქმე აღიზნდა. ფეხბურთის სიყვარული მდბიო ფენას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ადვილად ვერ ელეოდა მას. ამიტომაც საჭირო გახდა უფრო მკაცრი, გაამძკრეული ზომების მიღება. ფეხბურთის აკრძალვასთან დაკავშირებით ჩვენამდე მოაღწია ორმა დოკუმენტმა. პირველი დოკუმენტი, რომლის ავტორი მუვე ედუარდ III გახლავთ თამაშისთვის სხვადასხვა ვადით პატიმრობას ითვალისწინებს (1349 წელი). მეორე დოკუმენტის თანახმად რიჩარდ II სასჯელის ზომა კიდევ უფრო გამკაცრა და დამძიმდა (1389 წელი), განსაკუთრებული შემთხვევებისთვის კი საკედლით დასჯაც შემოიღო. ამ ბარბაროსულმა კანონმა მთელი 214 წელი იარსება და გაუქმდა მხოლოდ 1603 წელს.

მაგრამ ფეხბურთი შემდგომშიც წლებს მანძილზე, დევნილი და შერისხული იყო. თამაში თავის უფლებებში აღდგა მხოლოდ 1660 წელს კარლოს II მეფობის ხანაში. 1681 წელს გაიმართა ფეხბურთელთა გუნდების პირველი ოფიციალური შეხვედრა წინასწარშემუშავებული და შეთანხმებული წესებით. მიუხედავად იმისა, რომ თამაში წააგო მეფის საყვარელმა გუნდმა, გამარჯვებულთა წინასწარშემუშავებული და შეთანხმებული წესებით. მიუხედავად იმისა, რომ თამაში წააგო მეფის საყვარელმა გუნდმა, გამარჯვებულთა წინასწარშემუშავებული და შეთანხმებული წესებით. მიუხედავად იმისა, რომ თამაში წააგო მეფის საყვარელმა გუნდმა, გამარჯვებულთა წინასწარშემუშავებული და შეთანხმებული წესებით.

(გაჭიმვება შემდეგ ნომერში)

ისტორია მხოლოდ ფაქტებს ემყარება და ნებისმიერი დასკვნაც ამ ფაქტების ანალიზის, ყოველმხრივ შეფერვების საფუძველზე კეთდება. ასე რომ არ იყოს კაცობრიობას ზღაბრებზე დაფუძნებული ისტორია ეწინააღმდეგება ნარსული აქტს ყველაფერს და, ცხადია, ქართულ ფეხბურთსაც, რომელიც, სამწუხაროდ, ნაკლებად არის შესწავლილი.

თავის დროზე ქართული, უფრო კონკრეტულად კი თბილისის ფეხბურთის ისტორიით დაინტერესდა სპორტის ცნობილი მკვლევარი ამირან ცაბაციშვილი, რომელმაც სხვადასხვა პერიოდში მიგნებულა, ნაწილობრივ შესწავლილი და გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალების საფუძველზე რამდენიმე კატეგორიული, ფაქტებით განმტკიცებული და ადნად ძნელად უარსაყოფი დასკვნა გააკეთა. ამ დასკვნის საფუძველზე:


ფეხბურთის თამაში თბილისში 1909 წელს დაუსრულდა და ისეც წელს იენისში ქალაქის ველოტრეკზე (ყოფილი დიდი მთაერის, შემდგომში კამოსა და უზნაძის ქუჩა) არაოფიციალური გუნდით ჩამოყალიბებია.

ფეხბურთის თამაში ქალაქის ფარგლებში ხელისუფლებას ოფიციალურად დაუშვია და ამის საფუძველზე პირველი გუნდი „კომეტა“ ოფიციალურად დაფუძნდა 1907 წლის 23 თებერვალს.

ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველი ოფიციალური საჯარო-საწვევებელი მატჩი გამართულა 1909 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისში, კახაკა სასანგრო პოლკის მიწოდებზე. ერთმანეთს იმ დღეს შეხვედრიან ქუთაისში ექსკურსიანზე მყოფი თბილისის ვაჟთა პირველი და მეორე გიმნაზიების ფეხბურთელები.

პირველი ოფიციალური შეჯიბრება თბილისში შემდგარა 1911 წლის 21 ოქტომბერს „სოკოლისა“ და ქალაქის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი თბილისში გამართულა 1912 წლის 26 მარტს. ერთმანეთს შეხვდნენ „სოკოლი“ და ბაქოს ინგლისელთაგან დაკომპლექტებული გუნდი. თბილისელთა ღირსებას ამ შეხვედრაში სხვებთან ერთად იცავდნენ: მეკარე გიორგი ჩხიკვაძე, თავდამსხმელები ისიდორე გაგუა, შადრინი და სხვ. ამ თვისთავად საინტერესო ფაქტებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ ერთობ ძუნწი ცნობები და უმნიშვნელო მინიშნებები არსებობს. ცხადია, ადრე თუ გვიან ისინი



ისტორიულ კალენდარი

დაბადება

ფუნდამენტური კვლევისა და შესწავლის საჭიროება უნდა გახდნენ, თუ, რა ცდაც კი, სტრატეგიული ვართ ჩვენი ფეხბურთის ნარსულით. მეტ-ნაკლებად ცნობილია და დოკუმენტურადაც დასაბუთებული გახლავთ პირველი თბილისური გუნდის — „კომეტას“ ჩამოყალიბების ისტორია, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაგრამ ვერ რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის მიწურულისა და XX-ის დასაწყისის თბილისზე.

ძველი და ახალი ასწლეულების მიჯნაზე თბილისი ტიპიური აღმოსავლური ქალაქი იყო, რომელსაც ამის მიუხედავად, უხვად ჰქონდა შეთვისებული ევროპული ცხოვრების წესი. ორი საუკუნის შესაყართან მდგომი თბილისი თანაბრად უხვდა ხარკს ორივეს, მაგრამ ისე, რომ თავისი იერ-სახე, შინაგანი სული და კოლორიტი არ დაუკარგავს.

ეს იყო დრო, როცა ფეხბურთის შესახებ თბილისში არაფერი, ან ცოტა რამ იცოდნენ. ყველაზე პოპულარული ტრადიცია, ბუნებრივია, ჭიდაობა გახლდათ. მაშინ ქალაქში უამრავი საჭიდაო წრე იყო: ზოგი მთაწმინდაზე, ზოგი „იტალიელთა ბაღში“, ზოგიც დიდუბის ეკლესიის უკან, ელისაბედის ქუჩაზე, ავლაბარში, ნაძალადეგში, ხუდადოვის ტყესთან, ჩიხლაძეების სახერხის უკან, ფიქრის გორაზე, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

თბილისში საჭიდაოდ მოდიოდა ყველა, ვისაც მუსლიმი ედგა ძალა და მკლავი ერჩოდა: კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, შხანავეზელი „ფრანგი მისაქა“ და ბაქოელი მილიონერის თავიევის „ყოჩი“ ხუმბურ ბეგი, თურქი

ალთი იაილუა და კახელი გაიობა, ავლაბრელი სულხან დალაქი და დიდი მთაერის ფალაქანი სოლომონ ბულიტაშვილი...

მაშინდელი ძველი თბილისის განუყოფრებელ კოლორიტს საჭიდაო წრეების გარდა სამიკიტნოეტიც ქმნიდნენ — თანამაზრეთა თავშეყრის, ლხინისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის თავისებური საკრებულო. ორთაჭალის ბაღებში, მაგალითად, ჩოფურაშვილის „მოდი მნახე“ მდებარეობდა. წინ შესასვლელთან რეკლამისთვის დათვი ება, თუთის ხის ძირში მედიდურად დასვირნობდა ყოჩი — ფალაქანი, დასლზე კი თავსედურად იჯდა დეზებიანი მამალი „ივან ივანიჩი“ და ყველას ეყოყლონიებოდა. დიდებუში სამიკიტნო ჰქონდა თხილაქს. იყო კიდევ „ედემი“, „ვერდერი“, „რასვეტი“, „ფანტაზია“, ბაბაჭუასა (გოლა ლევაეა) და წვერიანი ალექსას ლუქები. მეფის მოხელეები ამ დანესებულებებისა და საჭიდაო წრეების მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილი. ისინი არ მიაჩნდათ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის კერებად.

იმდროინდელ თბილისელთა დასვენებისა და გართობის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი ზემოთხსენებული ველოტრეკიც იყო. როგორც ისტორიული დოკუმენტებით ირკვევა ტრეკი გასული საუკუნის 80-იან წლებში აუშენებიათ, პირველი შეჯიბრება კი 1893 წელს გამართულა ამ შეჯიბრების შესახებ მაშინდელი გაზეთები წერდნენ: „ველოტრეკზე ერთმანეთს შეხვდნენ მოყვარულ ველოსიპედისტთა წრის წევრები. ყველას აჯობა სამხედრო ინჟინერმა, თავადმა ჯორჯაძემ,

რომელსაც ადრე თურმე დიდრ თანხა გაუღია ტრეკის მშენებლობისათვის“.

თბილისში იმ დროს ბევრი მაღალი კლასის ველოსიპედისტი ყოფილა, მაგრამ მათში გამოირჩეული იყო ლადო კავსაძე — „ჩემპიონთა ჩემპიონი“ (უყვარდათ მაშინ ასეთი გამოთქმები), ბრწყინვალე მოჭიდავე, შემდგომში პოპულარული მომღერალი. 1908 წელს თბილისის ესტუმრა სახელეოანი რუსი ველოსიპედისტი, მსოფლიოს ჩემპიონი (რა თქმა უნდა არაოფიციალური) სერგეი უტორჩინი. კავსაძისა და უტორჩინის შეხვედრამ, რომელიც ჩვენმა

თანამემამულემ მოიგო ტროზეით ჩაარა თურმე. ამას ხელს უწყობდა უტორჩინის თითქმის ლეგენდად ქცეული პიროვნება: ცნობილი რუსი მწერლის

ალექსანდრე კუპრინის უახლოესი მეგობარი მრავალმხრივი სპორტსმენი იყო (ველოსიპედისტი, მოციგურე, მოკრივე, ავტომობილისტი) და, ამავე დროს, რუსული ავიაციის პიონერი, ერთ-ერთი პირველი მფრინავი და გამომცდელი.

თბილისის ველოტრეკს სხვა ღირსეული დღეებიც აქვოქ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ტრეკს, როგორც თბილისის პირველი საფეხბურთო გუნდის „კომეტის“ ადგილსამყოფელს.

მოკლე საგაზეთო ცნობა: „1906 წლის იენისში თბილისის ველოტრეკზე ნ. ი. ლგოტაქმა ჩამოყალიბა პირველი, თუმცა არაოფიციალური, ბურთის ფეხით მოთამაშეთა წრე. გუნდის ხელმძღვანელი და კაპიტანი არჩეული გახდა მ. ნ. გომერი. მისი გარდაცვლების შემდეგ წრეს სათავეში ჩაუდგა ტანვარჯიშული საზოგადოების „სოკოლის“ წევრი ა. ა. ელზინგერი“.

ვინ იყვნენ ლგოტაქი, ელზინგერი ან გომერი? რა პირობებში ჩამოყალიბდა ბურთის ფეხით მოთამაშეთა წრე და როგორი იყო მისი შემდგომი ბედი? ამ კითხვებზე არსებობს მოკლე და ლაკონური პასუხები. ერთ ძველ სარეკლამო აფიშაზე აღნიშნულია, რომ „ნიკოლოზ იოსების ძე ლგოტაქს თბილისში, ოლას ქ. № 8-ში ჰქონდა კავშირი ერთ-ერთი დიდი საწყობი და სახელოსნო 1900 წელს დაარსებული“. საწყობის ასორტიმენტი ლგოტაქის ინტერესების მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს: „ავტომობილები, ველოსიპედები, მოტოციკლები, შინები და კამერები, ზეთი და მალამო, ნათურა და

საყერი, კარბიტი და ბენზინი, მაგნეტო და კარბიურატორი, სანერი და საკერავი მანქანები, გრამაფონები, პატეფონები, ელექტროზარები" და რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვიინტერესებს „ლაუნ-ტენისი და ფეხბურთი“, აჲ, რა თქმა უნდა იგულისხმება ჩოგბურთისა და ფეხბურთის ინვენტარი. გამოდის რომ ნ. ი. ლგოტაის მიერ ველოტრეკზე ჩამოყალიბებულ ფეხბურთის წრეს ჰქონია გამართლება. ლგოტაის არც ფული აქვდა და არც საორტის სიყვარული.

ლგოტაი მოცუე საუკუნის დასაწყისის პროვინციული კაპიტალისტის ტიპური წარმომადგენელი გახლავთ. უფრო საინტერესო პიროვნებაა ა. ა. ელზინგერი, რომელმაც ფეხბურთელთა პირველი გუნდის გარდაცვლილი ხელმძღვანელი და კაპიტანი მ. ნ. გომერი შეცვალა ამ პოსტზე. ადოლფ ადოლფის ძე ელზინგერის საგიზიტო ბარათში აღნიშნული იყო, რომ იგი გახლავთ „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უცხოეთთან მიმონერის კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მდიანი, კოლეჯის ასესორი“. თანამდებობა ელზინგერს საშუალებას აძლევდა დაახლოებული ყოფილიყო მეფისნაცვლის კანცელარიის ჩინოვიკებთან, საორტის სიყვარული კი — ამ საქმის უანგარო ერთზისატებთან. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ელზინგერმა ინგლისურიდან თარგმნა ფეხბურთის თამაშის წესები (ბროშურას ჯერჯერობით ვერსად მიაგავნით).

მაშ ასე, 1906 წლის ივნისში ლგოტაკმა თბილისის ველოტრეკზე ჩამოყალიბა ფეხბურთის მოყვარულთა წრე, რომელსაც ჯერ გომერი ხელმძღვანელობდა მერე კი ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრი ელზინგერი. წრემ ლგოტაის ტრეკზე ოთხ თვეს (სექტემბრამდე) იარსება, მერე კი ახალი ბაზის ძებნა გახდა საჭირო, ვინაიდან ველოსპორტში მეცადინეობის მსურველთა რიცხვმა ზაფხულისთვის მკვეთრად იმატა და საორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთათვის დრო აღარ იყო საკმარისი.

მაგრამ დრო უქმად არც ფეხბურთელს დაუკარგავთ. გაგვწინან თბილისელ ჩინოვიკთა დახმარებით და ელზინგერის აქტიური მეცადინეობით წრის წევრებს დიდების იპოდრომზე ვარჯიშის უფლება მისცეს და იქვე ინვენტარისა და დოკუმენტაციის შესანახად ერთი ოთახიც გამოუყვეს. ეს მოხდა ნოემბერში.

1907 წლის 1 იანვრისთვის

ელზინგერის წრე 18 წევრსა და ხუთ, ე. წ. დამხმარეს ითვლიდა. დაახლოებით ამ პერიოდთან იწყება კონფლიქტი წრის წევრებსა და ოფიციალურ ხელმძღვანელობას შორის, რომელიც ორგანიზაციის დაუყოვნებლივ გაფორმებას და სათანადო ინსტანციებში გატარებას მოითხოვს.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდში დაცულია თბილისის გუბერნატორის კანცელარიის საერთო განყოფილების საქმე „კოლეჯის ასესორის ა. ა. ელზინგერისა და სხვა პირთა შუამდგომლობა თბილისში ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა



წრის დაარსების შესახებ" (მინერმონარა დაწყებულია 1906 წლის ბოლოს და მთავრდება 1907 წლისათვის).

როგორც ირკვევა საქმიდან ადოლფ ადოლფის ძე ელზინგერს, კბილის ექიმს იური ანდრეის ძე პაინეს, დამზღვევი საზოგადოება „რუსეთის“ ჩინოვიკს ალექსანდრე კარლის ძე შაახეს, გრამოფონების კომპანიის წარმომადგენელს თედორე მანუეის ძე კორტუმს განცხადებით მიუმართავთ თბილისის გუბერნიის მმართველობისათვის „კომეტის“ სახელწოდებით გუნდისა და „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის“ ჩამოყალიბების შესახებ. განცხადებას, როგორც შეამჩნიეთ ალბათ, ხელს არ აწერს არც ერთი ქართველი. ეს წინასწარ შენიღბული მანერე იყო, რომელიც თბილისში „სოკოლის“ ტანვარჯიშული საზოგადოების შექმნის მწარე გამოცდილებას ეყრდნობდა. „სოკოლის“ ტანვარჯიშული ორგანიზაციის (ფაქტობრივად კი მთელი საორტის) საქმიანობას რუსეთში, როგორც წესი, მეფის მოხელეები წარშართავდნენ. ისინი კი კატეგორიულად კრძალავდნენ დიდ ქალაქებში ჩეხური ყაიდის „სოკოლის“ გახსნას, ვინაიდან ემიზნობათ, რომ ავსტრიის სანი-

ნალმდეგო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები (ჩეხები და სლოვაკები კი საორტში სწორედ ამ სახეს ატარებდნენ) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემაჯალპატარა ერებშიც ანალოგიურ განწყობილებას გამოიწვევდა. სხვათა შორის სწორედ ამის გამო ვერ მიიღო „სოკოლის“ სტატუსი საქართველოში ჯერ კიდევ 1889 წელს დაარსებულმა საზოგადოებამ. ოფიციალური პასუხი „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის“ შექმნის თაობაზე იმდენად ბუნდოვანი და ჩახლართული იყო, რომ მისი შინაარსიც კი ვერაინ გაიგო სერიანად: „ვინაიდან წრეს ექნება თავისი კაპიტალი და ქონება იგი შეიძლება აღმოცენდეს „საზოგადოებისა და კავშირების“ დროებითი წესების შესაბამისი მუხლებიდან გამოძინარე სანქციებით“.

ერთი სიტყვით, პასუხი უფრო უარის უკავდა, ვიდრე თანხმობას, მაგრამ ელზინგერს არ დაუყრია ფარსმალი. პირიქით, 1907 წლის 21 თებერვალს მან თხოვნით მიმართა თავის მაღალი თანამდებობის მქონე ერთ-ერთ მეგობარს მზარი დაეჭირა ფეხბურთის გუნდის დაკანონებასა და თამაშზე წებართვის მიღებაში. ამასთან დაიწერა კოლექტიური წერილი თბილისის გუბერნიის მმართველის სახელზე. პირველი ოფიციალური გუნდის დაკანონებისთვის საჭირო იყო თბილისის გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება. საკითხი „კომეტას“ დაფუძნების შესახებ მოისმინეს საკრებულის 1907 წლის 23 თებერვლის სხდომაზე გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცე-გუბერნატორმა ა. გ. ჩერნიავსკიმ, თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა ნ. ვ. ბრანდორფმა, თბილისის სახელმწიფო პალატის მმართველმა ე. ფ. ფსტროვსკიმ, ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელმა, თავადმა ნ. ვ. ჩერქეზიშვილმა და გუბერნატორის კანცელარიის მმართველის საქმეთა მწარმოებელმა ე. ი. უმანცევმა.

ამ ნდობით აღჭურვილმა ცოცხალმა ცოცხალმა გულისყურით განიხილა „კომეტას“ წესდება, დეტალურად გაარჩია ყოველი წინადადების მნიშვნელობა და დაადგინა, რომ „წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს საზოგადოებისა და კავშირების წესდების მუხლებს“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „კომეტა“ ბოლოს და ბოლოს არსებობის უფლება მიიღო. ასე შეიქმნა 1907 წლის 23 თებერვალს პირველი ოფიციალური საფეხბურთო გუნდი „კომეტა“ თავისი ფორმით, სახსრებით, მოედნითა და წესდებით.

მაგრამ ამით ყველაფერი მაინც არ დასრულებულა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე კიდევ ერთი მოთხოვნა წამოაყენეს: 10 დღის ვადაში 1907-08 წლების სამუშაო გეგმის წარმოდგენა. მაგრამ ეს საკანცელარიო ბატალიონში გამობრძმედილი ელზინგერისთვის არ იყო ძნელი საქმე. 10 მარტს მონველი იწა წრის პირველი საერთო კრება, რომელმაც აირჩია პირველი კომიტეტი (ფედერაციის შემცველი ორგანო) ა. ა. ელზინგერის თავმჯდომარეობით. კომიტეტში შევიდნენ, ასევე, კაპიტანი — თ. შ. კორტუმი, მდივანი — ა. კ. შაახე, წევრები — ი. დ. ზახაროვი და ე. ი. ფრევი. შემუშავდა სამუშაო გეგმა, დამტკიცდა პროგრამა, ვარჯიშისა და თამაშის დღეები.

1908 წლის 1 იანვრისათვის წრეში გაერთიანებული იყო მხოლოდ 22 მოყვარული, რაც იმას ნიშნავდა, რომ „კომეტამ“ ვერ მოიკიდა ფეხი მასებში. მწირი იყო გუნდის შემოსავალიც (166 მან, 56 კაპ) და გასაჯალატი (134 მან, 41 კაპ). სახსრების შეგროვება, ძირითადად მატჩების ჩატარებიდან მიღებული თანხებით იყო ნაევარუდები (აგრეთვე თეატრალური სანახაობების მოწყობით), მაგრამ არც აქედან გამოვიდა რაიმე რეალური. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მაშინ „კომეტა“ ერთადერთი გუნდი იყო თბილისში. □





გარეული რენატი და მოხუცი ჟინორი



სამხრეთ ამერიკა

რუპრიკას უძღვება
გიქინა გარათაშვილი

ოსკარ რუპერი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი კონკურსები 1971 წლიდან ტარდება. 1979 წლამდე კონკურსში ასახელებდნენ ყველა სამხრეთ ამერიკელ ფეხბურთელს, დამოუკიდებლად იმისა, სად თამაშობდნენ ისინი. 1979 წელს გადაწყდა — გამოკითხული უნდა დაესახელებინათ მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში მოთამაშე ფეხბურთელები. ამ ვერდიქტმა გამოიწვია უარყოფითი რეაქცია. მართლაც, ალოფი-კურია, როდესაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულ დიეგო მარადონა, საერთოდ არ ფიქსირებდნენ 80-იანი წლების მეორე ნახევრის ლაურეატთა შორის და ეს მიუღობდა იმის გამო, რომ იგი ამ დროს იტალიაში თამაშობდა.

მეორე პრობლემა ის გახლავთ, რომ გამოკითხვის ჩატარების პრეტენზია რომა გამოცემა გამოთქვა. თუ ვერა-



ოსკარ რუპერი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის თასით

ბაში „ფრანს ფუტბოლმა“ შეძლო ანალოგიური გამოკითხვის პრობლემების შენარჩუნება, ამას ვერ ვიტყვით მონტევიდეოს გაზეთი „ელ პაისზე“. მიუხედავად იმისა, რომ „ელ პაისი“ ითვლება ოფიციალურ განმარტავულად, მისი კონკურენტი — ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის ამავე სახელწოდების გაზეთი ატარებს ცალკე გამოკითხვას და ცდილობს სწორედ თავისი ვარიანტი გამოაცხადოს საბოლოო გადაწყვეტილებად. საბედნიეროდ, ორივე გაზეთი თითქმის იდენტურ შედეგებს იღებს, თუმცა იყო გამონაკლისებიც, რამდენიმე წლის წინ ჩვენს პრესაში გამოჩნდა ერთმანეთის გამოძრის ცხელი ცნობები — სამხრეთ ამერიკის უძლიერეს მოთამაშედ გამოცხადდა ჯერ ურუგვაელი ოტოლაზა (ვენესუელელთა ვარია-

ნტი), მოგვიანებით კი მისი თანამემამულე რუბენ პასი (ურუგვაელთა რჩელი). მსოფლიო პრესამ მხარი პასს დაუჭირა და კარაკასის „ელ პაისის“ ანკეტა კერძო მოსახრებელ გამოაცხადა.

ახლა რაც შეეხება ბოლო კონკურსს. 1991 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს არგენტინის ნაკრების კაპიტანი, „ველეც სარსფილდის“ ცენტრალური მცველი ოსკარ რუპერი. მან 44 ხმა მიიღო.

ოსკარ ალფრედო რუპერი დაიბადა კორალ დე ბუსტოსში 1962 წლის 26 იანვარს. 1980-84 წწ. თამაშობდა „ბოკა ხუნიორსში“. 1989-90 „რეალი“ მადრიდი. 1991-92 „ველეც სარსფილდში“; 1992 წლიდან „ანკონა“ (იტალია). 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 1990 წლის — ვიეც ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი (1991), არგენტინის ჩემპიონი (1981, 1986). „კოპა ლიბერტადორესის“ გათამაშებაში გამარჯვებული (1986) მოიპოვა საკონტინენტაშორისო თასიც (1986). ესპანეთის ორგზის ჩემპიონი (1990).

28 ხმით მეორე ადგილზე აღმოჩნდა კიდევ ერთი არგენტინელი — რაიმონ დიასი. ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ ახსოვთ ეს დივიდენდი. იტალიის „ნაპოლის“ შემადგენლობაში მან თბილისშიც თამაშა და „დინამოსთან“ ანგარიშით 1:2 წაგებულ შეხვედრაში გოლი გაიტანა. იმ დროისათვის დიასი უკვე იყო არგენტინის ჩემპიონი („რივერ პლეიტის“ შემადგენლობაში), ახალგაზრდათა შორის მსოფლიო ჩემპიონი (1979) და ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი. მონაწილეობა მიიღო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში. „ნაპოლიდან“ იგი ჯერ „აველინოში“ გადავიდა, მერე „ფიორენტინაში“, „იტალიური ეტაპი“ კი „ინტერიში“ დაასრულა (ჟვეენის ჩემპიონი 1989). შემდეგ ორი წელი „მონაკოში“ გამოდიოდა (საფრანგეთის თასის მფლობელი 1990) და შარშან მშობლიურ „რივერ პლეიტში“ დაბრუნდა. მისი ბომბარდირული თვისებების ხელშეწყობით გუნდი წლებულს არგენტინის ჩემპიონი გახდა.


ჩილეელი მეკარე პატრისიო ტოლედო 23 ხმით მესამე ადგილზე გავიდა. შემდეგ მოდიან: ლიონარდო ასტრადა (არგენტინა) — 21 ხმა, ხუან ზოსე ბორელი (არგენტინა), და მარიო ტილიკო (ბრაზილია) — 18-18 ხმა, გაბრიელ მენდოსა (ჩილე) — 15, ფაბიან ბასულდო (არგენტინა), და ზოსე დელ სოლარი (პერუ) — 13-13, დიეგო ლატორე (არგენტინა), ოლგერ კინიონესი (ეკვადორი) და ხულიო დელი ვალდესი (ურუგვაიში მოთამაშე პანამელი) — 12-12.

საუკეთესო მწვრთნელად დასახელეს არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ალფიო ბასილე. 1990 წლის მსოფლიო პირველობის შემდეგ, ბასილემ შეცვალა კარლოს ბილარდო და იქიდან მოყოლებული დღემდე არგენტინელებს არც ერთი თამაში არ

წაუგიათ. შარშან მათ მოიგეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. ძველი გუნდიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელია დარჩა: მეკარე სერხიო გოიკოჩეა, მცველი ოსკარ რუპერი და თავდასხმელი კლაუდიო კანიჯა. დანარჩენები ბასილეს აღმოჩენილნი არიან. სპეციალისტები პირველ რიგში აღნიშნავენ შემეტვე ნახევარმცველებს: ლიონარდო როდრიგესს („იტალიანტა“ იტალია), დარეო ფრანკოს („სარაგოსა“, ესპანეთი), დიეგო ლატორეს, ფორვარდებს: გაბრიელ ბატისტუტას (ორივე „ფიორენტინა“, იტალია) და სერხიო ბერტის („პარმა“, იტალია). გასაკვირი არაა, რომ ყველა უკვე უტოროთის კლუბებში გადაბარდა. ბასილეს აქტივი უთვლიან ნაკრების გაახალგაზრდავებას. ბილარდოსგან განსხვავებით მან აქტიური გამოუცდელ მოთამაშეებზე გააკეთა და, როგორც ჩანს, არც შემეცდარა. ეს ნაბიჯი მით უფრო სარისკო იყო, რომ მწვრთნელს დიდი ოპორტუნია ჰყავდა და უმნიშვნელო მარცხსაც კი არავენ ავატიებდა. სადღესოდ, ბასილეს ყოფილი ოპონენტები, ნაკრების მწვრთნელობის სხვა პრეტენდენტები — დანიელ პასარელა, სესარ მენოტი და კარლოს აიბარი — იძულებულნი არიან აღიარონ თავიანთი ვიზავის მიერ აღებული გეზის სისწორე.

რაც შეეხება თვით ალფიო ბასილეს, წარსულში იგი საკმაოდ ცნობილი მცველი გახლდათ (დაიბადა 1943 წლის 1 ნოემბერს ბაია ბლანკაში). თამაშობდა „ასინსიში“ (1964-70); „ურაკანში“ (1971-75), იყო არგენტინის ჩემპიონი (1966, 1973), „კოპა ლიბერტადორესისა“ და საკონტინენტაშორისო თასის მფლობელი (1967). მწვრთნელად მუშაობისას „რასინგის“ სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელად აქცია 1988 წელს.

კონტინენტის სიმბოლური ნაკრები 1991 წლის მიხედვით ასე გამოიყურება: ტოლედო (ჩილე), მენდოსა (ჩილე), რუპერი (არგენტინა), კინიონესი (ეკვადორი), დელ სოლარი (პერუ), ბორელი, ასტრადა, ლატორე, დიასი (ყველა არგენტინა), ტილიკო (ბრაზილია) და დელი ვალდესი (პანამა).



არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ალფიო ბასილე

ბავშვმა შესაძლოა არ იცოდეს, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილია თავის ეროვნულ ჩემპიონატს სულ ოცი წელია, რაც ატარებს. იქამდე გუნდები მხოლოდ შტატების ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ. პარადოქსულია, მაგრამ ერთიან ტურნირში ჩაბმის შემდეგ, ნაკრების საქმეები აშკარად გაუარესდა. ბეერი სპეციალისტი ამაში სწორედ ჟვეენის პირველობას, უფრო სწორად, მის არანორმალურ სისტემას ადანაშაულებს. რა არ მოიგონეს ბრაზილიელებმა: ხან მონაწილეთა რაოდენობა გაზარდეს ორმოცამდე, ხან ისე არიეს I და II დივიზიონის გუნდები, რომ შეიქმნა საშიშროება ფინალში დაბალი ლიგის გუნდები გასულიყვენ და ა.შ. დასრუბა კატასტროფულად შეცირდა, თამაშის დონე დაეცა...

და აი, როგორც იქნა, ბრაზილიელები გონს მოგუნენ, ნორმალური ჩემპიონატის ჩატარება მოინდომეს. თავიდან ოცმა გუნდმა გამოაღონა რვა უძლიერესი. ისინი ორ ჯგუფად დაიყვენ. I — „ფლამენგო“, „სან პაულუ“, „სანტოსი“, „ესკო და გამა“. II — „ბოტაფოგო“, „ბრაგანტინო“, „კორინტიანსი“, „კრუსეირო“.

I ჯგუფში ყველაფერი უკანასკნელ ტურში გაირკვა. ამ მომენტისათვის 6 ქულით წინ იყო „სან პაულუ“, ერთი ქულით ნაკლები ჰქონდა „ფლამენგოს“. სპეციალისტთა უმეტესობა წარმატებას „სან პაულუს“ უწინასწარუტყველდა. ჯერ ერთი, ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ტელე სანტანას გუნდს აშკარად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს: კაუფო, მიულერი, რაი ნაკრების ღირსებას იცავენ. მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ გუნდმა წლეულს მოიპოვა „კოპა ლიბერტადორესი“ და ფსიქოლოგიურად მზად იყო უმაღლესი მიზნებისთვის საბრძოლველად. და ბოლოს, მის მონიწიანადმდეგს „ესკო და გამას“ დაკარგული ჰქონდა ფინალში გასვლის შანსი, ამიტომ სავარაუდო იყო, რომ ის სრული მობილუბით არ იბრძოლებდა. პროგნოზები არ გამართლდა. „სან პაულუ“ გაუმეა სამი გოლი (გებეტო, ბისმარკი, ედმუნდო), ნაგო 0:3 და ფინალს მიღმა დარჩა.

II ჯგუფში „ბოტაფოგომ“ მოუგო „ბრაგანტინოს“ 1:0 და მდებარეობისათვის მიუღწეველი აღმოჩნდა. ფინალს „ფლამენგო“ — „პო-



ბოტაფოგოს გულშემატივართა მიერ „მოლატედ“ გამოცხადებული რენატო ფლაშენგოში თამაშის დროს

ტაფოგო“ წინაპირობა უქონდა. ორივე გუნდი რიო-დე-ჟანეიროს შტატის პირველობაში მონაწილეობდა. წლებულ ამ შტატის ჩემპიონატ ტრადიციული „გაუფებარი“ ფორმულით ჩატარდა. I და II ეტაპის გამარჯვებულებს დაემატა კლუბი, რომელმაც ჯამში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ამგვარად მივიღეთ სამი ფინალისტი? იმის გამო, რომ ფეხბურთის ორი გუნდი თამაშობს, ვიღაც ზედმეტი უნდა ყოფილიყო. პრობლემა მარტივად გადაიჭრა: I ეტაპის გამარჯვებული — „ფლუმინენსე“ უთამაშებლად გავიდა ფინალში (ძალიან გთხოვრებ ნუ იკითხავეთ რატომ მიენიჭა მას უპირატესობა, ეს ალბათ, ცალკე გამოძიების საგანია), ხოლო დანარჩენებმა ჩაატარეს თამაში მეორე ფინალისტის გამოსაყვლად. გაუშუს ერთადერთმა გოლმა ფინალში „ფლაშენგო“ გაიყვანა. ასე რომ „ბოტაფოგო“ ქვეყნის პირველობის ფინალში რეანაშის ნყურვილით გავიდა.

რეანაში არ შედგა. პირველ თამაშში ფუნორმა, ნელიომ და გაუშუმ სამი უპასუხო გოლი გაიტანეს „ბოტაფოგოს“ კარში. ამ თამაშს საგულისსმო ეპიზოდი მოჰყვა. „ბოტაფოგოს“ ხელმძღვანელობამ საპასუხო მატჩზე აღარ დააყენა ფორვარდი რენატო. ამის მიზეზი გახდა ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტი, სადაც რენატო მსვადით უმასპინძლებოდა თავის მეგობარ გაუშუს. „ძირს რენატო“, „რენატო — მოლატედ“ — ასე ფი გახლდათ „ბოტაფოგოს“ გულშემატივართა რეაქცია. არ მჯერა, რომ ასეთი სისულელე ნამდვილად მოხდა — განაცხადა რენატომ — „ნაგებელი შეხვედრის მეორე დღეს გაუშუ მოვიდა ჩემთან სტუმრად და მეც გაუფასპინძლდი. ნუთუ გგონიათ, რომ ეს გავლენას იქონიებს საპასუხო თამაშზე?“

დაიხ, ჰგონიათ.


რენატოს გარეშე „ბოტაფოგომ“ უკეთ იასპარეზა. ფუნორისა და ფულიო ცეზარის გოლებს პიჩესა და ვალდერიის მიერ გატანილი ბურთებით უპასუხა და ფრეს მიღწია 2:2. „ბოტაფოგოს“ მოგებაც შეეძლო, მაგრამ ვალდერიმა პენალტი ვერ გამოიყენა. ჩემპიონის ტიტული „ფლაშენგოს“ დარჩა.

საზეიმო განწყობილება გაუფუჭა სტადიონ „მარაკანაზე“ მომხდარი უბედურებამ. ჩამოინგრა მეორე იარუსი. დაშავდა 54 კაცი, მათგან 18 — მძიმედ. საბედნიეროდ არავინ დაღუპულა.

ახლა ბრაზილიური კლუბები ევროპაში მოგზაურობენ. თან ამხანაგურ მატჩებს მართავენ. საზაფხულო ტურნირის ფინალში „სან პაულუ“ შეხვდა „ბარსელონას“. ეს გახლდათ საკონტინენტთაშორისო თასის წლევეანდელი ფინალის რეპეტიცია. მასპინძლებმა გახსენს ანგარიში (სალინასი), მაგრამ საპასუხოდ ოთხი გოლი მიიღეს (მიულერი, მაურისიო, რაი — 2). „სან-პაულუმ“ მოიგო 4:1 და შინ წაიღო ლამაზი თასი. ამ მოგებამ შესაძლოა ბრაზილიელებს დათურვი სამსახური გაუწიოს. ევროპული კლუბების მესვეურებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება კლუბის ნაწყენ მითამაშებთან. თუ გავითვალისწინებთ ევროპელთა დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს, მოსალოდნელია, რომ რაი, მიულერი და მათი პარტნიორები სულ მალე აღმოჩნდებიან იტალიის, ესპანეთის, ან საფრანგეთის გუნდებში. ისევე როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ბებეტო — „ლა კორუნიაში“ (ესპანეთი), ვალდერი და სანტოსი — „სტრასბურში“ (საფრანგეთი). ასეთ შემთხვევაში ბრაზილიაში მხოლოდ ორმოც წელს მიტანებული ფუნორი და დარჩება...

დიასი კვლავ ნაკრებში?

ბრაზილიის მსგავსად, არგენტინაშიც გაძლიერდა ექსპერიმენტები ჩემპიონატის ფორმულის ირგვლივ. 1967-79 წლებში ორ-ორი ჩემპიონატი ტარდებოდა: „მეტროპოლიტანო“ (რომელშიც ბუენოს-აირესისა და მისი შემოგარენის კლუბები ასპარეზობდნენ) და „ნასიონალი“ (სადაც დედაქალაქის გუნდებს ქვეყნის სხვა რეგიონების წარმომადგენლები უერთდებოდნენ). 1980 წელს „მეტროპოლიტანო“ გაუქმდა. მისი ადგილი დაიკავა ე.წ. „პირველი დივიზიონის“ ჩემპიონატმა, თუმცა პირველობათა რაოდენობა უცვლელი დარჩა. 1986-90 წლებში რაოროც იქნა, დაიწყო ერთი ტურნირის გათამაშება, მაგრამ შარშან ფორმულა კვლავ შეიცვალა. ახლა ტარდება „საგაზაფხულო“ და „საშემოდგომო“ ჩემპიონატები, თუ რომელიმე გუნდი შეძლებს ორივე



დანიელ ალბარტო პასარელა დაიბადა 1953 წლის 25 მაისს ჩაიბუკოში ცენტრალური მცველი. თამაშობდა „არგენტინო დე ჩაიბუკო“ (1971-72); „ხარმონეტო დე ზუნინი“ (1973); „რივერ პლეიტი“ (1974-81); „ფორენსინა“ (იტალია) (1982-86); „ინტერნაციონალი“ (იტალია) (1986-88); „რივერ პლეიტი“ (1988-89). 1975 წელს ითამაშა სამი თამაში არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში. 1976-86 წლებში არგენტინის ნაკრებში ჩაატარა 69 ოფიციალური მატჩი და 12 ზღვარზეა სხვა ქვეყნებს საკლუბო გუნდებთან, გაიტანა 26 გოლი. მსოფლიოს ჩემპიონი: 1978 და 1986 (იყო განაცხადში, მაგრამ არ უთამაშა). არგენტინის ჩემპიონი 1975, 77, 78, 80 („მეტროპოლიტანო“); 1975, 79, 81 („ნასიონალი“). 1990 წლიდან „რივერ პლეიტის“ მთავარი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით გუნდი გახდა ქვეყნის ჩემპიონი 1990 და 1992 წლებში. 1991 წელს გაუფა სამხრეთ ამერიკის სუბ-კონტინენტის გათამაშების ფინალში.

ტურნირის მოგებას, იგი ქვეყნის ჩემპიონად გამოცხადდება, თუ არა და ორი ეტაპის გამარჯვებული კლუბები სამ მატჩში გამოაჯულენენ ჩემპიონს. უფრო ჩანლათულია აუტსაიდერთა გამოღება. ლივას ტუჯებს ითხი კლუბი, რომლებიც უარესი შედეგები აჩვენეს ბოლო სამი სეზონის მანძილზე (?). როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც შარშან და ვერც წელს, ვერაინ შემდო

ორივე ეტაპის მოგება. შარშან ფინალში გავიდნენ „ნიუელს ოლდ ბოიზს“ და „ბოკა ხუნიორსი“. ორივე თითო მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დამთავრდა. პენალტებით ჩემპიონობა „ნიუელსმა“ მოიპოვა. 1991-92 წლების სეზონი დაიწყო „რივერ პლეიტის“ ტრიუმფით დაიწყო პასარელას გუნდმა დიდი უპირატესობით მოიგო „საშემოდგომო“ პირველობა და გაიწვია ადგილი ფინალში. ამის შემდეგ კლუბმა მთელი ყურადღება სამხრეთ ამერიკის სუპერთასს მიაპყრო და იქაც ფინალში გავიდა, თუმცა ორი მატჩის ჯამში დამარცხდა ბრაზილიის „კრუსეიროსთან“.

მთელი სეზონის ასეთ დონეზე ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. „საშემოდგომო“ ჩემპიონატში „რივერ“ ჩრდილში მოექცა და ისევე მზადდა ფინალისათვის. პირველობისთვის ბრძოლა კი შარშანდელ ფინალისტთა შორის გაიმართა. იყო მონეტა, როცა „ბოკა ხუნიორსმა“ დიველატორებს, ანტონიო მოამედისა და პარავალი რობერტო კანანასის შედეგადად თამაშის წყალობით მოახერხა დაწინაურება, მაგრამ „კოპა ლიბერტადორისის“ წლევეანდელმა ფინალისტმა, „ნიუელს ოლდ ბოიზმა“, შეძლო მოწინააღმდეგის დასწავა. უკანასკნელ ტურებში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. „ბოკამ“ თავის მიუდანვე წაიგო აუტსაიდერ „ბელგრანოსთან“ და მეორე ადგილიც დათმო (მას „ველეკე სარსეილმა“ გაუსწრო).

ივლისის ბოლოს ფინალურ სერიაში ერთმანეთს პირისპირ დადგნენ „რივერ პლეიტი“ და „ნიუელს ოლდ ბოიზი“. პირველი მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა. მეორე „რივერმა“ მოიგო მინიმალური უპირატესობით — 1:0. ცვლადური მესამე თამაშს უნდა გადაეწყვიტა. „რივერ პლეიტმა“ ეს შეხვედრაც მაღალ დონეზე ჩაატარა და მწიფე გამარჯვება მოიპოვა — 3:2. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. „რივერმა“ გახსნა ანგარიში, როცა ჯარიმის გათამაშების შემდეგ ბურთი ახლო მანძილიდან შეუცვალა ლუტოს მიმართულებით. როსარიოელმა მალე გაქვიტა გოლი. თავური დარტყმით ლამაზი ბურთი მარტინოაი გაიტანა. ამის შემდეგ „ნიუელსის“ და ნაკრების სათაღროვო მეკარე სკოპონიმი წააქცია რამონ დასი და დაზარალებულმა თავად შეასრულა პენალტი — 2:1. როსარიოელთა მორიგი შეტევა კიდევ ერთი თავური დაავარგვისა ლუნარიმ — 2:2. მეორე ტიპში „რივერის“ საუკეთესო მოთამაშემ რამონ დასამა გაითამაშა კომბინაცია რამონ მედილი ბელოსთან, რომელმაც როული მდგომარეობიდან ლამაზი გოლი გაიტანა.

მეორე წელია არგენტინული პრესა ხრტას ასხამს თავდამსხმელთა ლეგეტებს. შარშან ყველას პირზე ეკრა „ტუჯეების“ — დიველატორებს და გაბრიელ ბატისტუტას სახელები. სწორედ მათი წყალობით შეძლო „ბოკა ხუნიორსმა“ „საგაზაფხულო“ პირველობის მოგება. ახლა ჯარი „რივერის“ ტანდემზე მიდგა. „რამონების“ ასე შეარქვეს გუნდის თავაღსხმის ლიდერებს — „რასიგვიდამ“ გადმოსულ მედიანა ბელოს და „მონაკოდან“ დაბრუნებულ დასის. უფრანსისტები უკვე ხელავენ ამ ყველის ნაკრების შემადგენლობაში, მწვრთნელი ალფიო ბასილე კი ჯერ-ჯერობით დღეს.

რუმინიის მიჯანდაცვის სამინისტროს ფეხბურთის
ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღები.
სამტაპარის თვეში უამრავი საინტერესო
რამ მოხდარა, მებრამ ჩვენს რუმინიას
ყოველსაშუალოდ პრაქტიკული არა აქვს და
ისეთ თარიღებს ვარჩევთ, რომელიც
„საინტერესო“ უამრავი ჩაითვალოს

რა ხდებოდა



1.09.1962

დაიბადა ბოლო წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო
ფეხბურთელი, პოლანდიელი რუდ გულიტი. სურინამული
ნარმოშობის, ორიგინალური ვარცხნილობის პატრონი ბე-
შეობიდანვე გამოირჩეოდა. ჯერ სამო-
ყვარულო კლუბ DWS-ში თამაშობდა,
1977-82 წლებში პაარლემში გამოდიოდა.
შემდეგ იყო ფეიენოორდი და ეინდჰოვენი,
ბოლოს კი ბერლესკონის მილანში ამო-
ყვო თავე. სამწუხაროდ ხშირად ვერ
თამაშობდა ტრავმების გამო. წლეულს
უკვე მეოთხე ოპერაცია გაიკეთა.
პოპულარობა მოიპოვა თავისი მოქა-
ლექობრივი პოზიციის გამოც — ევროპის
საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ოქროს ბურთი
იმეამად ციხეში მყოფ ნელსონ მანდელას მიუძღვნა.



3.09.1927

დაიბადა ცნობილი ქართველი მსაჯი გიორგი
ბაქანიძე. იგი მარტო მსაჯობით როდი იყო ცნობილი — თავის
დროზე ავარჯიშებდა 35-ე სკოლის მოსწავლეებს, 20 წლის
განმავლობაში სათავეში ედგა ფიზკულტურის ინსტიტუტის
ფეხბურთის კათედრას, გულშემატკივრებს მაინც მსაჯობით
დაამახსოვრა თავი — საკავშირო ჩემპიონატის 155 მატჩი მისი
არბიტრობით წარიმართა. სამჯერ (1971, 72, 77 წლებში)
დაასახელეს საუკეთესო მსაჯთა ათეულში. გარდაიცვალა
მიმდინარე წლის მისში.

5.09.1952

დაიბადა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში
ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი. 10 წლის



ასაკიდან კიევის დინამოშია, რა თქმა უნდა ბავშვთა გუნდში.
მხოლოდ კარიერის ბოლოს „ულალატა“ ამ კლუბს და ავსტრიაში
გადავიდა. საბჭოთა ნაკრებში 107 მატჩი ითამაშა და 44 გოლი
გაიტანა. 1975 წელს სუპერთასზე მიუნხენის ბაიერს ბრწყინვალე
გოლი გაუტანა და იმ წლის ევროპის საუკეთესო მოთამაშედ
აღიარეს. უკონდა განსაკვირვებელი სისწრაფე. ბოლო დროს
საბერძნეთის ოლიმპიკოსს წერთიდა.

7.09.1977

საბჭოთა ნაკრებში პირველი მატჩი ითამაშა
21 წლის რევაზ ჩელვაძემ. ეს მოხდა ვოლგოგრადში

პოლონეთთან ამხანაგური მატ-
ჩისას (4:1): შეხვედრის დამ-
თავრებამდე 15 წუთით ადრე
იგი ჩესნოკოვის შემცვლელად
გამოვიდა და კინალამ მესუთე
გოლი გაიტანა. სულ ჩელვაძემ
საბჭოთა ნაკრებში 9 მატჩი
ჩაატარა და მეტოქეებს სამი გო-
ლი გაუტანა — ორი ბულგარეთს
და ერთიც შეედგოს. მოსკოვის
ოლიმპიადაზე ქუვეითთან მატჩი
მისთვის ბოლო აღმოჩნდა საბ-
ჭოთა კავშირის ნაკრების მთი-
სურით.



ალექსანდრე კოსტრავკინი

11.09.1957

ქალაქ ფრედერიკსბერგში დაიბადა დანიელ
„ბიზონად“ ნოდელი პრებენ ელკიაერ-ლარსენი. 19 წლის
ასაკიდან იგი კიოლში გამოდიოდა, შემდეგ, 1978-84 წლებში
— ბელგიის ლოკერენში. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე
ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ელკიაერი იტალიის ევრონაში
გადავიდა და გერმანულ ბრიგელთან ერთად ეს პროფესიული
კლუბი ისტორიაში პირველად ქვეყნის ჩემპიონი გახდა.
გამოირჩეოდა საკვირველი ფიზიკური მონაცემებით. ამჟამად
დანიის რადიოს კომენტატორია.

13.09.1972

ამ დღეს თბილისის დინამო თავის 138-ე
მატჩს ატარებდა უცხოურ კლუბთან, მაგრამ ეს შეხვედრა
გამორჩეული გახლდათ — ეს იყო დინამოს პირველი თამაში
ევროპის საკლუბო ტურნირებში. ლოკომოტივის სტადიონზე
ბერძენმა მსაჯმა პაპავასილიუმ უეფას თასის ოცდამეორ-
მეტედფინალის პირველ მატჩში ჩვენების წინააღმდეგე პო-
ლანდიის ჩემპიონატის პრიზიორს, ენსხედეს ტვენტეს მოუხმო.
ალბათ აუცილებელია გაეხსენოთ თბილისელთა შემადგენლობა
ამ ისტორიულ მატჩში: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილაძე,
ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ.
ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი. იმეამად გუნდს გაერილ კაჩალინი
წერთიდა.

რაც შეეხება ტვენტეს, მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ
ტყუპი ძმები რენე და ვილი ვან დე კერკოფები და მეკარე
შრაივერსი. ეს ფეხბურთელები ორიოდ წელიწადში მსოფლიოს
აალაპარაკებენ, მაშინ კი თბილისელებს თავი იორინგმა
დაამახსოვრა. ორი მატჩის ჯამში მან სამი ბურთი გაუტანა
გოგიას.

პირველი ბურთი სწორედ იორინგმა გაიტანა უკვე მე-5 წუთზე
კუთხურის ჩანოდევის შემდეგ. მატჩის 27-ე წუთზე კი გივი
ნოდამ ევროპულ თასებზე დინამოს მიერ გატანილი გოლების
ანგარიში გახსნა, კონკრეტულად ჯამ მატჩის კი — გაათანაბრა.
მეორე ტაიმში პოლანდიის ნაკრების მეკარეს იმევე გივი ნოდამ
და ყიფიანმა კი-
დეე ორი გოლი
გაუტანეს.

იმ დღეს ტვენტეს
ფეხბურთელები
მე-11 მატჩს ატა-
რებდნენ ევრო-
თასებზე და, რა-
საკვირველია,
დინამოელებზე
უფრო კარგად
იცოდნენ, რა ფა-
სი ექნებოდა
სტუმრად გატანილ კიდევ ერთ გოლს. მათი გარჯა იორინგმა
დააკვირგინა — 2:3.
მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო მატჩი დინამომ დათმო 0:2



ბოლოს არაბი

სექტემბერი

და ტურნირს გამოეთიშა, დებიუტი ურიგოდ არ უნდა შეფასდეს. ედუარდ სტრელცოვმა ასეთი კომენტარი გაუკეთა თბილისელთა თამაშს. „მართალია შთაბეჭედავი იყო პოლანდიელთა დაცვიდან თავდასხმაში გადასვლა და პირიქით, მაგრამ დინამოელები მათ არც ფიზიკურ მომზადებაში და არც ტექნიკაში არ ჩამოუვარდებოდნენ“.

ნუ დაევიწყებთ, რომ ტვენტემ სამი წლის შემდეგ უეფას თასის ფინალსაც მიაღწია. (1974-75 გათამაშების ფინალში მიონხენ-გლადახის „ბორუსიასთან“ დამარცხდა — 0:0, 1:5).

16.09.1912 ამ დღეს მოსკოვის ნაკრებმა ხარკოვში დაამარცხა ადგილობრივი ნაკრები 6:1. ეს იყო რუსეთის იმპერიის პირველი ჩემპიონატის პირველი მატჩი. ალსანიშნავია, რომ მაშინ გუნდებს იმდენი უცხოელი ჰყავდათ, დღეს იტალიის კლუბებსაც კი არ დაეისჯებოდათ. პირველივე მატჩში თავი გამოიჩინეს „მოსკოველებმა“ — ფელგენგაუერმა, მინდერმა, ლუზმა და ნიუმანმა. რუსეთის იმპერიის პირველი ჩემპიონის სანქტ-პეტერბურგის ნაკრები გახდა. ფინალური მატჩი 11 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ოდესამ ბოლო მომენტში უარი განაცხადა და სრულიად რუსეთის საფეხბურთო კავშირმა 1913 წლის 20 იანვარს კრებაზე ჩემპიონებად სანქტ-პეტერბურგელები გამოაცხადა.

18.09.1937 თბილისის დინამომ საბჭოთა პირველობაში პირველი მარცხი განიცადა დიდი ანგარიშით, ისიც შინ (0:4 — მოსკოვის დინამოსთან).

22.09.1982 პოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში უკანასკნელი მატჩი ითამაშა 1974 წლის 78 წლების მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, რენე ვან დე კერკოფმა. ამ შეხვედრაში პოლანდიამ მოუგო ირლანდიას 2:1. საინტერესოა, რომ რენეს ტყუპისცალი ვილი კიდევ სამი წელი გამოდიოდა ნარინჯისფერი მაისურით.

24.09.1937 ბორის პაიჭაძემ თბილისის დინამოს ისტორიაში პირველი პეთ-თრიკი შეასრულა (მოსკოვის მეტალურგი, 4:0).

25.09.1957 საერთაშორისო არენაზე პირველად გამოჩნდა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ამავედროულად სკანდალური ფეხბურთელი ჯიმი გრიესი. აი რას სწერდა ლონდონის „სტარი“: „სტამფორდ ბრიჯზე შეკრებილი 56 ათასზე მეტი მაყურებელი დარწმუნდა, რომ ჯონი პეინსი და ჯიმი გრიესი — იდეალურად შეთამაშებული წყვილია. მსგავსი არაფერი გვინახავს, ბრწყინვალე პორაციო კარტერისა და უილფ მენონის შემდეგ. გრიესმა, რომელმაც პირველი მატჩი ითამაშა ინგლისის იუნიაორთა ნაკრებში, ორი გოლი გაიტანა და ერთი პენალტი ვერ გამოიყენა“. ამ შეხვედრაში ინგლისელებმა ბულგარელ თანატოლებს ხძლიეს — 6:2.



MIRROR DU FOOTBALL

26.09.1912 აბასთუმნის და ელისაბედის ქუჩის კუთხეში, ფრიდონოვისა და სარაჯევის მამულში მოწყობილ საფეხბურთო


მოედანზე შედგა თბილისის პირველი ჩემპიონატის პირველი მატჩი: II გიმნაზიამ I გიმნაზიას მოუგო — 5:3. შემდგომში მეორე გიმნაზიელებმა დანარჩენი ორი მეტოქეც დაამარცხეს (III გიმნაზია და კომერციული სასწავლებელი) და თბილისის ჩემპიონები გახდნენ. ერთ-ერთი იმდროინდელი ყურნალი წერდა: „მე-2 გიმნაზიის გუნდი კარგადაა შეთამაშებული: ფორვარდებს რიგიანი გადაცემები აქვთ და კარგად ურტყამენ კარში. დაცვა სწრაფად და ერთსულოვნად მუშაობს“. საინტერესოა, რომ ჩემპიონების ორმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო: კუბარევა სელი მოიტეხა, მარეევა კი ფეხი. ამის გამო გიმნაზიის დირექტორმა პირდაპირ კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველს მისწერა: „ასეთი სპორტი მიზნად ფიზიკურ აღზრდას კი არ ისახავს, არამედ ერთმანეთის დაძლევის სურვილსა და გატაცებას. ამიტომ საჭიროა სასტიკად აეკრძალოს საზოგადოებას ფეხბურთის თამაშსა და შეჯიბრებებზე მოსწავლეთა დაშვება“. საქმეში თბილისის გუბერნატორიც კი ჩაერია...



ბოლნის არქივი

26.09.1927 დაიბადა მწერთნელი, რომელსაც ყველაზე მეტი კრიტიკა შეხვდა. კარიერის მანძილზე — ენცო ბეარზოტი.

თამაშობდა ინტერში, კატალიაში, ტორინოში. ერთი მატჩი ითამაშა იტალიის ნაკრებშიც (1955 წლის 27 ნოემბერს უნგრეთთან 0:2). 1977 წლის ოქტომბრიდან ნაკრების მწერთნელად მუშაობდა და სკუადრა აძურა 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. გამოირჩეოდა მაფიოზური შესახედაობითა და ჩიბუსის მუდმივი წევით. ახლო ურთიერთობა ჰქონდა იტალიის პრეზიდენტ პერტინისთან. 1986 წლიდან იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს.



29.09.1887 ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი SC გერმანია, რომელიც დღეს ყველასათვის ცნობილია, როგორც შამპურგერ შპორტფრაინი. 1919 წლის 1 ივნისს სწორედ ამ კლუბის ინიციატივით გაერთიანდნენ SC გერმანია, SF ფალკე (დაარსდა 1906) და შამპურგერ SF (1888).



ბოლნის არქივი

საფეხბურთო ჟურნალი
პოლი

თარ კორლალიძე
(ალაშანი გურჯაანი)
91-92 წლების ეროვნული
შპიონატის საუკეთესო
გეგარდირა

